

საქართველოს სოც.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეროვნული საბჭოს  
საქმეთა მმართველობის გამოსცემა.

1930 წ. სექტემბრის 30.

№ 15

ნაწილი პირველი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

### ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

- 225. თანამდებობის პირთა ხელქვეითობის წესით სადისციპლინო პასუხისმგებლობის დებულების დამტკიცების შესახებ.
- დებულება თანამდებობის პირთა ხელქვეითობის წესით სადისციპლინო პასუხისმგებლობის შესახებ.
- 226. იმ მოჯამაგირებთან ანგარიშის გასწორების წესის შესახებ, რომელთაც ლიკვიდირებულ კოლექტიურ მეურნეობისაგან სრული დაკმაყოფილება არ მიუღიათ.
- 227. სისხლის სამართლის კოდექსის 30<sup>1</sup> და 30<sup>2</sup> მუხლების შეცვლის შესახებ.
- 228. შრომის საქმეთა პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ.
- დებულება შრომის საქმეთა პროკურატურის შესახებ.
- 229. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 302 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.
- 230. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ოლქებისა და მაზრების გაუქმების შესახებ.
- 231. 1930 წ. აგვისტოს 15-დან ტფილისისა, კახეთისა, ქუთაისისა და გორის ოლქებისა და სენაკის მაზრის ლიკვიდაციისა და რესპუბლიკის ამ ნაწილში ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებსა და სარაიონო ორგანოებს შორის უშუალო კავშირის დამყარების შესახებ.
- 232. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ზოგიერთ რაიონის გაუქმების შესახებ.
- 233. გასართობისა და სანახაობის ადგილობრივი გადასახადის შესახებ.
- 234. სისხლის სამართლის კოდექსის 200<sup>1</sup> მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

### ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

235. ოლქებისა და მაზრების ლიკვიდაციისათვის ადგილობრივი კომისიების დანიშვნის შესახებ.

### სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

- 236. სახელმწიფო დაწესებულებებში მეცადინეობის დაწესების დროის შესახებ.
- 237. საბამე მინდვრების დამუშავების დაჩქარებისა და გაუმჯობესების შესახებ.

238. მეორე საფეხურის მეორე კონცენტრის შრომის სკოლების (ათწლედების) საბჭო-ალურ ტექნიკუმებად გადაკეთების შესახებ.

239. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ უწყებათა და დაწესებულებათა, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშით მომქმედ სახელმწიფო ორგანოთა, შერეულ სააქციო საზოგადოებათა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა 1930/31 საბიუჯეტო წლის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

240. საქართველოს სსრ-ში საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის დანიშნული განსაკუთრებული რწმუნებულის შესახებ.

241. საბინაო-საიჯარო კოოპერაციის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

242. საკოლმეურნეო საქმეში მომუშავეთა რაციონალურად მოხმარებისა და საკოლმეურნეო სისტემის გარეშე სხვა სამუშაოზე არ გამოყენების შესახებ.

243. პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის დამზადებათა ჩატარებისათვის ხელმძღვანელობისა, მეთვალყურეობისა და კონტროლის გასაწევად დანიშნული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის შესახებ.

244. ოთხფეხი საქონლის დამზადებისა და ხორცის მომზადების წარმატებით ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

245. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1930/31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე გამოცემული დადგენილების 25 მუხლის, 41 მუხლის მე-2 ნაწილისა, 48<sup>1</sup>, 48<sup>2</sup>, 50<sup>1</sup>—50<sup>2</sup>, 54<sup>1</sup>, 64<sup>1</sup> და 64<sup>2</sup> მუხლების შეცვლის შესახებ.

## სენატრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

### 225. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

თანამდებობის პირთა ხელკვეითობის წესით სადისციპლინო პასუხისმგებლობის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება თანამდებობის პირთა ხელკვეითობის წესით სადისციპლინო პასუხისმგებლობის შესახებ.
2. ამა დებულების მოქმედება გავრცელებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მაგლობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდიენის თან. დრ. აღმასრ. თ. ულენტი.

1930 წ. ივლისის 21.

ტფილისი—სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**თანამდებობის პირთა ხელქვეითობის წესით სადისციპლინო პასუხისმგებლობის შესახებ.**

1. სადისციპლინო ზეგავლენის ღონისძიება სამსახურებრივი უმოკმედობისა და მცირე დანაშაულისათვის, კერძოდ, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, რაც არ იწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით, განხორციელდება იმ წესისამებრ, რაც დადგენულია ამა დებულებით, ან სპეციალური კანონებით, ან და შინაგანრიგების წესებით და ამ წესებთან დართული ზეგავლენის ღონისძიებათა ტაბულებით.

2. სადისციპლინო ზეგავლენის ღონისძიება ხელქვეითობის წესით ამა დებულების საფუძველზე შეეფარდება სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა, ორგანიზაციასა და საწარმოში დაქირავებით მომუშავე თანამდებობის პირთ: ა) დათხოვნისა და დაქირავების უფლების მქონეთ; ბ) სხვა კატეგორიების პასუხისმგებელ მომუშავეთ, რომელთა ნუსხასაც განსაზღვრავს: ა) სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი—სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით; ბ) ა/კსფსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატი—ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით; გ) საქართველოს სსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატი—საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

არჩევით მომუშავე თანამდებობის პირს სადისციპლინო ზეგავლენის ღონისძიება ხელქვეითობის წესით შეეფარდება ამა დებულების საფუძველზე.

3. დაქირავებით მომუშავე ყველა დანარჩენი პირი პასუხს აგებს შინაგანრიგების წესების მიხედვით, რაც დადგენილ იქნება შრომის მომკმედი კანონმდებლობის წესისამებრ და ამ კანონმდებლობის საფუძველზე.

4. სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის სპეციალური კანონებით დაწესებული კატეგორიების თანამდებობის პირნი პასუხს აგებენ სადისციპლინო წესით ხელქვეითობისამებრ მცირე დანაშაულისათვისაც, რომელიც თუმცა სამსახურის მოვალეობისა და შრომის დისციპლინის დარღვევას არ წარმოადგენს, ხოლო რომელიც არ შეესაბამება ამ კატეგორიების თანამდებობის პირთა ღირსებას და დანიშნულებას იმ მოვალეობათა განსაკუთრებული ხასიათის გამო, რასაც ისინი ასრულებენ.

5. სადისციპლინო გადასახდელი ხელქვეითობის წესით დაედება:

ა) ადგილობრივი საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის წევრს—სათანადო საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და აგრეთვე ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, სახალხო კომისართა საბჭოს ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ; ადგილობრივი საბჭოს პრეზიდიუმის და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს—მისი ამრჩევი ორგანოს მიერ, აგრეთვე ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოს და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ;

ბ) ყველა სხვა თანამდებობის პირს—იმ პირის ან ორგანოს მიერ, რომელზედაც არსებული წესების თანახმად დამოკიდებულია უწყებელი თანამდებობის პირის თანამდებობაზე დანიშვნა, ან ხელქვეითობის ხაზით აღნიშნული პირის თუ ორგანოს ზემდგომი პირის ან ორგანოს მიერ.

**შენიშვნა 1.** ადგილობრივი საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის წევრი—თანამდებობის პირი, უკეთეს იგი ჩაიდენს სამსახურებრივ მცირე დანაშაულს ან გამოიჩინოს უმოქმედობას თავის მუშაობაში, რასაც იგი ასრულებს არა როგორც წევრი საბჭოსი თუ აღმასრულებელი კომიტეტისა, პასუხს აგებს საუწყებო ხელქვეითობის წესით.

**შენიშვნა 2.** კოოპერატიულ ორგანიზაციებში არჩევით მომუშავე თანამდებობის პირთათვის სადისციპლინო ზეგავლენის ღონისძიების შეფარდების უფლება, გარდა უწყებელი ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული ორგანოებისა, აქვთ ზემდგომ კოოპერატიულ ორგანიზაციებსაც.

6. სადისციპლინო გადასახდელი, რაც ხელქვეითობის წესით დაიდება, შემდეგია:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა ვადით არა უმეტეს ერთი წლისა;

დ) თანამდებობიდან დათხოვნა.

7. ის თანამდებობის პირი, რომელიც არჩევით მსახურობს, შეიძლება გადაყვანილ იქნეს დაბალ თანამდებობაზე მხოლოდ იმ ორგანოს დადგენილებით, რომელმაც იგი აირჩია.

დაბალ თანამდებობაზე გადაყვანამდე ან უკან გაწვივამდე ეს თანამდებობის პირი შეიძლება დროებით გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის სპეციალური კანონებით დადგენილი წესისამებრ.

8. სადისციპლინო ზეგავლენის ღონისძიება შეიძლება შეფარდებულ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პასუხისგებაში მიცემული პირისაგან მოთხოვნილ იქნება სათანადო ახსნა-განმარტება. აღნიშნულ პირს უფლება აქვს წარადგინოს თავისი ახსნა-განმარტება წერილობით ხუთი დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც იგი მიიღებს შეტყობინებას სადისციპლინო წესით პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

9. დასაბუთებული დადგენილება ხელქვეითობის წესით სადისციპლინო გადასახდელის დადების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება იმ პირს, რომელსაც აღნიშნული ღონისძიება შეეფარდა, ხოლო ძალაში შესვლისას ეს დადგენილება გამოცხადდება იმ დაწესებულებასა თუ საწარმოში, სადაც უწყებელი პირი მუშაობს.

10. დადგენილება ხელქვეითობის წესით სადისციპლინო გადასახდელის დადების შესახებ თოთხმეტი დღის ვადაზე შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს იმ პირის მიერ, რომელსაც გადასახდელი დაედო.

დადგენილების განსაჩივრება ვერ შეაჩერებს მის აღსრულებას, გარდა ისეთი დადგენილებისა, რომლითაც შეფარდებულია დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა ან თანამდებობიდან დათხოვნა.

11. საჩივარი წარედგინება იმ თანამდებობის პირის ან ორგანოს ზემდგომ თანამდებობის პირს ან ორგანოს, რომელმაც გადასახდელი დაადო.

ის პირი თუ ორგანო, რომელიც საჩივარს მიიღებს, ვალდებულია განიხილოს იგი თოთხმეტი დღის განმავლობაში.

საჩივრის გამო მიღებული დადგენილება საბოლოოა და იგი შეიძლება განიხილულ იქნეს მხოლოდ ზედამხედველობის წესით ზემდგომი ორგანოს მიერ.

12. სადისციპლინო ზეგავლენის ღონისძიება ხელქვეითობის წესით არ შეიძლება შეფარდებულ იქნეს ერთ თვეზე გვიან დღიდან მცირე დანაშაულის აღმოჩენისა, ხოლო სათანადო შემთხვევაში—იმ დღიდან, რა დღესაც მიღებულ იქნება სასამართლოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის მოსპობის შესახებ. სადისციპლინო ზეგავლენის ღონისძიება ხელქვეითობის წესით ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება შეფარდებულ იქნეს ექვს თვეზე გვიან მცირე დანაშაულის ჩადენის დღიდან; ამასთანავე აღნიშნულ ვადაში არ ჩაითვლება დრო სისხლის სამართლის წესით საქმის წარმოებისა.

**შენიშვნა.** შენიშვნა და საყვედური შეიძლება შეეფარდოს ისეთ პირსაც, რომელიც აღნიშნულ ღონისძიებათა შეფარდების დროს უწყებულ დაწესებულებასა თუ საწარმოში არ მუშაობს.

13. ხელქვეითობის წესით სადისციპლინო გადასახდელის დადება არ წარმოადგენს დაბრკოლებას იმისათვის, რომ იმავე დარღვევის გამო აღძრულ იქნეს დევნა სისხლის სამართლის წესით, ხოლო უკეთუ აღნიშნული გადასახდელი ჯერ კიდევ აღსრულებული არ არის, მისი აღსრულება შეჩერებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტამდე.

14. უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დღიდან ხელქვეითობის წესით შენიშვნის თუ საყვედურის გამოცხადებისა ან დაბალ თანამდებობაზე გადაყვანისა იმავე პირს არ შეეფარდა სადისციპლინო ზეგავლენის ახალი ღონისძიება, ეს პირი ჩაითვლება ისეთ პირად, რომელსაც სადისციპლინო გადასახდელი არ დასდებია.

15. ამა დებულების წესები არ გავრცელდება ცალკეული კატეგორიების მომუშავეებზე და ცალკეული სახის მცირე დანაშაულზე, რომელთათვისაც სსრ კავშირის, ა/კფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის სპეციალური კანონებით გათვალისწინებულია განსაკუთრებული წესები.

## 226. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

იმ მოჯამაგირებთან ანგარიშის გასწორების წესის შესახებ, რომელთაც ლიკვიდირებული კოლექტიური მეურნეობისაგან სრული დაკმაყოფილება არ მიუღიათ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი იმ მოჯამაგირებთან ანგარიშის გასწორებისა, რომელთაც შრომის სასყიდლის სფეროში სრული დაკმაყოფილება არ მიუღიათ ლიკვიდირებული სასოფლო-სამეურნეო არტელისა და სასოფლო-სამეურნეო კომუნისაგან, სადაც ეს მოჯამაგირენი წევრებად ირიცხებოდნენ:

1. უკეთეს სასოფლო-სამეურნეო არტელის თუ კომუნის ყოფ. მოჯამაგირე-წევრის შრომითი პრეტენზია ამ არტელის თუ კომუნის ლიკვიდაციამდე ან ლიკვიდაციის დროს დაკმაყოფილებულ არ იქნა ან არასრულად იქნა დაკმაყოფილებული, სათანადო სასოფლო საბჭო—მის მიერ საამისოდ რწმუნება-მოსილი საბჭოს წევრის სახით,--სასოფლო-სამეურნეო მუშათა პროფესიონალური კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთან და იმ მეურნეობათა წარმომადგენელთან ერთად, რომელნიც ლიკვიდირებული არტელის თუ კომუნის შედგენილობაში შედიოდნენ, გამოარკვევს არტელის თუ კომუნის დავალიანებას მოჯამაგირეთა შრომის სასყიდლის სფეროში.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული დავალიანების გამოსარკვევად მოჯამაგირის მიერ არტელში თუ კომუნაში ნამუშევარი დღეების რიცხვი და ამ მუშაობის ხასიათი, აგრეთვე შრომის სასყიდლის ნორმა განისაზღვრება ლიკვიდირებული არტელის თუ კომუნის დოკუმენტალური ცნობებით, ხოლო უკეთეს ასეთი ცნობები არ არის,—მოწმეების ჩვენებით თვითეული მოჯამაგირის მუშაობის რაოდენობისა და ხასიათის შესახებ და შრომის სასყიდლის იმ საშუალო ნორმების მიხედვით, რაც შეფარდებული იყო უწყებულებული რაიონის ან მეზობელი რაიონის თანაბარ მეურნეობაში მოჯამაგირის მიერ სასყიდელ-გადაუხდელი მუშაობის შესრულების პერიოდში.

3. ზემოაღნიშნული წესით გამოანგარიშებული თანხა დავალიანებისა განაწილება იმ მეურნეობათა შორის, რომელნიც ლიკვიდირებული არტელის თუ კომუნის შედგენილობაში შედიოდნენ და რომლებსაც განსაზღვრადებული შრომა მოხმარდა. ამ თანხის განაწილება ცალკეულ მეურნეობათა შორის მოხდება თვითეული ვალდებული მეურნეობის ძალოვნობის შესაბამისად ისე კი, რომ საშუალო მეურნეობათა ხვედრი თანხა 50%-ზე მეტად არ აღემატებოდეს იმ თანხას, რაც ღარიბ მეურნეობებზე მოდის.

4. მოჯამაგირეთა მიმართ დავალიანების გამოკვლევის შედეგი, გამოიანგარიშება ამ დავალიანების საერთო თანხისა, აგრეთვე იმ თანხისა, რაც თვითეულ მოჯამაგირეზე მოდის და დავალიანების საერთო თანხის განაწილება ვალდებულ მეურნეობათა შორის შეიტანება ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირობა მიერ შედგენილ და ხელმოწერილ სათანადო აქტში.

უკეთეს პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელი ან ლიკვიდირებული არტელის თუ კომუნის შედგენილობაში შემავალ მეურნეობათა წარმომადგენელი გამოანგარიშებას ან განაწილებას არ დაეთანხმება, ეს აღნიშნება აქტში.

5. უკეთეს პროფესიონალური კავშირისა და ლიკვიდირებულ არტელის თუ კომუნის შედგენილობაში შემავალ მეურნეობათა წარმომადგენელი დაეთანხმებიან დავალიანების გამოანგარიშებას და განაწილებას, რაშიაც ისინი მონაწილეობას იღებდნენ, სასოფლო საბჭო დაუყოვნებლივ წარუდგენს მე-4 მუხლში აღნიშნულ აქტს ვალდებულ მეურნეობათ, რათა მათ დანიშნულ ვადაზე

გადაიხადონ ის თანხა, რაც მათზე გამოანგარიშებისა და განაწილების თანახმად მოდის. გადახდის ვადა არ შეიძლება სამ დღეს აღემატებოდეს.

უკეთეს ვალდებული მეურნეობა უარს იტყვის ზემოაღნიშნული წესისამებრ დაწინაურებული თანხის გადახდაზე ან იგი ამ თანხას სასოფლო საბჭოს მიერ დადგენილ ვადაზე არ გადაიხდის, სასოფლო საბჭო გააკეთებს აქტზე სააღსრულებო წარწერას და გადაახდევინებს აღნიშნულ თანხას ვალდებულ პირთ იძულებითი წესით.

6. უკეთეს პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელი ან ლიკვიდირებული არტელის თუ კომუნის შედგენილობაში შემავალ მეურნეობათა წარმომადგენელი დავალიანების გამოანგარიშებას და განაწილებას არ დაეთანხმება, სასოფლო საბჭო გაგზავნის სათანადო აქტს სახალხო სასამართლოში, რომელიც განიხილავს საქმეს იმ წესების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია საგლეხო მეურნეობებში აღძრულ შრომის დაავთა (კონფლიქტების) განხილვის წესის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის სექტემბრის 4-ის დადგენილებით (სსრკ-ის კან. კრ. 1929 წ. 57 №-ი, მუხ. 533) და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის თებერვლის 18-ის დადგენილებით „საგლეხო მეურნეობებში აღძრული შრომის კონფლიქტების მორიგებით და სასამართლო წესით განხილვის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 43).

7. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს სსრ ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, გამოსცეს ამა დადგენილების განსავითარებლად სათანადო ინსტრუქციები და წესები.

8. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებითა და ოლქითურთ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.  
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღმასრ. **თ. ჟღენტი**.

1930 წ. ივლისის 21.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 174 №-ში 1930. წ. ივლისის 26-ს.

## 227. დადგენილება ც. ა. ქ. და ს. ქ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 30<sup>1</sup> და 30<sup>2</sup> მუხლების შეცვლის შესახებ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების 19<sup>1</sup> და 19<sup>2</sup> მუხლების შეცვლის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის მაისის 5-ის დადგენილების (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 27 №-ი, მუხ. 298) შესაბამისად და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ-ის კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სისხლის სამართლის კოდექსის 30<sup>1</sup> მუხლი (საქ. სსრ-ის კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 5) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„30<sup>1</sup>. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილში შეუწყვეტელ სამსახურში მყოფი ვადიანი სამსახურის მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელსაც მშვიდობიანობის დროს სამხედრო დანაშაულისათვის გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ვადით ორი თვიდან ერთ წლამდე უფლების აუყრელად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ სოციალური დაცვის ღონისძიებას მოიხდის მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-გამასწორებელ ნაწილში, ხოლო უკეთეს მას გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ორ თვემდე—ამ ღონისძიებას იგი მოიხდის იმ წესით, რაც დადგენილია სამხედრო მსახურთა მიერ სადისციპლინო წესით გადაწყვეტილი დატუსაღების მოხდისათვის.“

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საშუალო, უფროს, უმაღლეს და ვადანგეითი სამსახურის უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურებს და აგრეთვე მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მერიგეთა და ვადიანი სამსახურის უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურს იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთლად არ შეეფარდება. ამ იძულებითი მუშაობის ნაცვლად აღნიშნულ სამხედრო მსახურთ შეეფარდებათ თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ თვემდე; ამ ღონისძიებას სამხედრო მსახური მოიხდის იმ წესით, რაც დადგენილია სამხედრო მსახურთა მიერ სადისციპლინო წესით გადაწყვეტილი დატუსაღების მოხდისათვის.

**შენიშვნა 1.** იმ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო ტრიბუნალი საქმის გარემოებათა მიხედვით მიზანშეუწონლად სცნობს, რომ ის პირი, ვიზუდაც ამა მუხლის მოქმედება ვრცელდება, გაგზავნილ იქნეს სამხედრო-გამასწორებელ ნაწილში, მას უფლება აქვს გამოიტანოს დადგენილება აღნიშნული პირის საერთო საპატიმრო ადგილას გაგზავნის შესახებ.



**შენიშვნა 2.** თვითეულ გამონაკლისს შემთხვევაში, სასამართლოს განსაკუთრებული დადგენილებით, ვადიანი სამსახურის მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურმა, რომელსაც მშვიდობიანობის დროს საერთო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა, უფლების აუპურელად, ვადით ორი თვიდან ერთ წლამდე, სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება მოიხადოს სამხედრო-გამასწორებელ ნაწილში, ხოლო უკეთეს მას თავისუფლების აღკვეთა გადაეწყვიტა ვადით ორ თვემდე, მან ეს ღონისძიება შეიძლება მოიხადოს იმ წესით, რაც დადგენილია სამხედრო მსახურთა მიერ სადისციპლინო წესით გადაწყვეტილი დატუსაღების მოხდისათვის“.

2. სისხლის სამართლის კოდექსის 30<sup>2</sup> მუხლში (საქ. სსრ-ის კან. კრ. 1929 წ. 1-ლი № ი, მუხ. 5) სიტყვები: „სამხედრო საშტრაფო ნაწილში“ შეიცვალოს სიტყვებით: „სამხედრო-გამასწორებელ ნაწილში“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-  
სრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-  
ლებელი კომიტეტის თან. დრ. აღმასრ. **თ. უღენტი.**

1930 წ. ივლისის 21.  
ტფილისი — სასახლე.

## 228. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**შრომის საქმეთა პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება შრომის საქმეთა პროკურატურის შესახებ.

2. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ოქტომბრის 25-ის თარიღისა და 37 №-ის დადგენილება „შრომის საქმეთა პროკურატურის შესახებ“ (საქ. სსრ-ის კან. კრ. 1924 წ. მე-5 №-ი, მუხ. 27) გაუქმებულ იქნეს.

3. საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო პროკურატურის დებულების (საქ. სსრ-ის კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 72) მე-9 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** შრომის საქმეთა პროკურატურის ფუნქციები განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით ამ პროკურატურის შესახებ“.

4. წინადადება მიეცეს რესპუბლიკის პროკურორის ერთი თვის ვადაზე გამოსცეს, შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ინსტრუქციები შრომის პროკურატურის ადგილობრივ საპროკურატურო ორგანოებთან და შრომის სახალხო კომისარიატთან ურთიერთობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარია  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მაგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდიენის თან. დრ. აღმასრ. თ. ჟღენტი.

1930 წ. ივლისის 21.

ტფილისი—სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### შრომის საქმეთა პროკურატურის შესახებ.

1. შრომის საქმეთა პროკურატურა შედის საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო პროკურატურის საერთო სისტემაში და თავის ფუნქციებს ანხორციელებს რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველოს შრომის საქმეთა ზედამხედველობის განყოფილების მეშვეობით.

2. პროკურატურის შრომის საქმეთა განყოფილების გამგებლობა, რესპუბლიკის პროკურორის საერთო ხელმძღვანელობით, დაეკისრება რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეს შრომის საქმეთა დარგში, რომელიც დაინიშნება საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო პროკურატურის დებულების (საქ. სსრ-ის კანკრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 72) მე 5 მუხლის შენიშვნაში გათვალისწინებული წესისამებრ.

3. სისხლის სამართლის საქმეების სფეროში შრომის საქმეთა პროკურორს დაეკისრება:

ა) აღძრას კანონით დადგენილ შემთხვევაში სისხლის სამართლის წესით დევნა თანამდებობის პირთა და კერძო პირთა წინააღმდეგ შრომის კანონმდებლობის დადგენილებათა დარღვევისათვის;

ბ) საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს გამოკვლევის წარმოებას და მისცეს დირექტივები გამომკვლევ ორგანოებს შრომის კანონთა დარღვევის ყველა საქმის შესახებ და აგრეთვე განახორციელოს, სათანადო შემთხვევაში, ეს ფუნქციები შრომის რწმუნებულთა და შრომის ინსპექციის მიმართ;

გ) მისცეს დამნაშავე სამართალში, მოსპოს და შეაჩეროს სისხლის სამართლის საქმე შრომის კანონთა დარღვევის შესახებ და ზედამხედველობა გაუწიოს

ამ ფუნქციების პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ განხორციელებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესების თანახმად;

დ) გასწიოს ბრალმდებლობა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების გამო შრომის კანონთა დარღვევის შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესების მიხედვით და ზედამხედველობა გაუწიოს ამ ფუნქციების განხორციელებას პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ;

ე) განაპროტესტოს საკასაციო წესით სასამართლოს განაჩენი და დადგენილება შრომის კანონთა დარღვევის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ;

ვ) გამოითხოვოს ზედამხედველობის წესით (სისხლის სამართ. საპრ. კოდექსის 439 და 440 მუხლები) შრომის საქმე რესპუბლიკის ყველა სასამართლოდან, პროცესის რა სტადიაშიც უნდა იყოს იგი, და განაპროტესტოს ეს საქმე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით;

ზ) თვალყური ადევნოს შრომის საქმეთა შესახებ გამოტანილი განაჩენების აღსრულებას.

4. სამოქალაქო სამართლის საქმეების სფეროში შრომის საქმეთა პროკურორის დაეკისრება:

ა) აღძრას შრომის უფლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სამოქალაქო საქმე და აგრეთვე ჩაერიოს ასეთ საქმეში, — პროცესის რა სტადიაშიაც უნდა იყოს იგი, — როდესაც ამას მოითხოვს ცალკეულ მშრომელთა ან მათ ჯგუფთა ინტერესები და აგრეთვე სახელმწიფოს ინტერესები;

ბ) მონაწილეობა მიიღოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის სხდომებში შრომის უფლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა სამოქალაქო საქმის გამო და მისცეს დასაბუთებული დასკვნა თვითეთლი საქმის შესახებ მისი წინასწარი გაცნობით; მონაწილეობა მიიღოს იმავე საქმეების გამო, პროკურორის შეხედულებისამებრ, პირველი ინსტანციის სასამართლოების სხდომებში, განსაკუთრებით იმ საქმეების გამო, რაც დათხოვნას შეეხება; განაპროტესტოს საკასაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებანი შრომის საქმეთა შესახებ, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის წესების თანახმად;

გ) მისცეს თანამდებობის პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან აღძრას საკითხი მისი პასუხისმგებლობის შესახებ სადისკოლინო წესით, უკეთუ შრომის საქმის — განსაკუთრებით დათხოვნის საქმის — სამოქალაქო წესით განხილვის დროს აღმოჩნდება, რომ აღნიშნულ პირს შრომის კანონმდებლობა დაურღვევია;

დ) აღძრას საკითხი ამა მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული შრომის სამოქალაქო საქმეთა გადასინჯვის შესახებ, გამოითხოვოს საქმე, რომლის გამოც მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, და აგრეთვე განაპროტესტოს ეს საქმე საქართველოს სსრ-ის უზენაეს სასამართლოში, რასპუბლიკის პროკურორის მეშვეობით, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის (252 და 254 მუხლები) წესების თანახმად;

ე) განაპროტესტოს გამონაკლის შემთხვევაში ზედამხედველობის წესით შრომის (სახალხო) სასამართლოების გადაწყვეტილება და უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის დადგენილება შრომის კონფლიქტების სამომრიგებლო-სამედიატორო და სასამართლო წესით განხილვის წესების შესაბამისად;

ვ) საერთო ზედამხედველობა გაუწიოს შრომის ორგანოების მოქმედებას, რისთვისაც, შეუძლიან განაპროტესტოს ზემდგომ ორგანოში შრომის ორგანოთა დადგენილებანი სამომრიგებლო-სამედიატორო წესით საქმეთა განხილველი ორგანოების ცალკეულ გადაწყვეტილებათა შესახებ, იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილება აშკარად უკანონოა, ან როდესაც პროკურორის აზრით ეს დადგენილება აშკარად არღვევს სახელმწიფო ან მშრომელთა ინტერესებს (შრომის კონფლიქტების სამომრიგებლო-სამედიატორო და სასამართლო წესით განხილვის შესახებ 1928 წლის აგვისტოს 29-ის თარიღით გამოცემული წესების 45 მუხლი; სსრ კავშირის კან. კრ. 1928 წ. 56 №-ი, მუხ. 494);

თ) თვალყური ადევნოს, რათა სასამართლოს გადაწყვეტილებანი შრომის საქმეების შესახებ თავის დროზე და სისწორით იქნეს აღსრულებული.

5. შრომის საქმეთა პროკურორს, ამის გარდა, დაეკისრება:

ა) ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიოს ადგილობრივი პროკურორების მოქმედებას მათ მიერ შრომის საქმეთა დარგის ფუნქციების განხორციელების საქმეში, რისთვისაც მისცემს ხოლმე მათ სათანადო დირექტივებსა და ახსნა-განმარტებებს ცალკეულ საქმეთა შესახებ;

ბ) შეიმუშაოს საერთო დირექტივები, ახსნა-განმარტებანი და ცირკულარული განკარგულებანი შრომის საქმეთათვის ზედამხედველობის გაწევის საკითხების შესახებ;

გ) საერთო ზედამხედველობა გაუწიოს, სახელმწიფოს სახელით, შრომის ორგანოების მოქმედების კანონიერებას სახელმწიფო პროკურატურის დებულებით დადგენილი წესისამებრ.

6. რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე შრომის საქმეთა დარგში განახორციელებს თავის ფუნქციებს უშუალოდ ან თანაშემწეების მეშვეობით, რომელთაც დანიშნავს რესპუბლიკის პროკურორი შრომის საქმეთა პროკურორის წარდგენით.

7. რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე შრომის საქმეთა დარგში თავისი მოქმედებით უშუალოდ ექვემდებარება რესპუბლიკის პროკურორს და ვალდებულია წარუდგინოს ხოლმე მას თავისი მოქმედების ანგარიში იმ ვადაზე და იმ წესით, რასაც რესპუბლიკის პროკურორი დაადგენს.

8. რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე შრომის საქმეთა დარგში შედის საქართველოს სსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში გადაწყვეტილების უფლებით; მუდმივი სამყოფელი ადგილი მას აქვს შრომის სახალხო კომისარიატთან და თავისი მუშაობისათვის გამოიყენებს ამ კომისარიატის ტექნიკურ აპარატს.

## 229. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 302 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტოს 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ. კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 302 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ძვირფასი ლითონისა, ქვებისა და მარგალიტის ნაკეთობა გადაეცემა ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) სამმართველოს სარეალიზაციოდ განსაკუთრებული კანონით გათვალისწინებული წესისამებრ“.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) და განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია „ძვირფასი ლითონისა და ქვებისა და აგრეთვე მარგალიტის ნაკეთობათა საჯარო ვაჭრობით გაყიდვის მოსპობისა და სარეალიზაციოდ რესპუბლიკანურ სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთათვის გადაცემის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 24-ის დადგენილების განსახორციელებლად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 141).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღმას. თ. უღენტი.

1930 წ. ივლისის 21.  
 ტფილისი—სასახლე.

## 230. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ოლქებისა და მაზრების გაუქმების შესახებ.

ოლქების ლიკვიდაციის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საფუძველზე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს ყველგან საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ოლქები და მაზრები და დადგენილ იქნეს საქართველოს სსრ-ის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფა ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულთა ორსაფეხურიანი სისტემით: სასოფლო საბჭოს მიერ გაერთიანებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეული და რაიონი.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული რეორგანიზაცია დაწყებულ იქნეს დაუყოვნებლივ იმ ანგარიშით, რომ რეფორმა მთლიანად დამთავრდეს არა უგვიანეს 1930 წლ. სექტემბრის 15-ისა.

3. ოლქებისა და მაზრების სალიკვიდაციო მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, რეფორმის გატარებასთან დაკავშირებული საქითების დაწვრილებით დასამუშავებლად, კერძოდ, საქართველოს სსრ-ის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფის პროექტის შესამუშავებლად, 1930-31 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის საქმეში საერთო დირექტივების დასამყარებლად და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების სატიპო სტრუქტურის და სატიპო შტატების შესამუშავებლად, მოეწყოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან კომისია ამხ. ს. მამულიას თავმჯდომარეობით, რომელშიაც წევრებად შევლენ: ამხ. გ. არუთინოვი, გ. მგალობლიშვილი, ლ. სუხიშვილი, ს. ჯუღელი, ლ. ბერია, გ. ვაშაძე და თენგიზ ჟღერი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული აღნიშნული კომისიის დირექტივების თანახმად ოლქებისა და მაზრების სალიკვიდაციო მუშაობის ადგილობრივ პრაქტიკულად განხორციელებისათვის ყველა საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყოს განსაკუთრებული კომისიები (სამეულები); ამ კომისიების შედგენილობაში შევლენ თავმჯდომარე და ორი წევრი, რომელთაც დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებულმა ოლქების და მაზრების სალიკვიდაციო კომისიამ უნდა იმუშაოს შემდეგი მიმართულებით:

ა) ოლქების ლიკვიდაციისთანავე რაიონებს გადაეცემათ ოლქების ყველა მატერიალური სახსარი და კულტურული ძალები, რათა ამით შეიქმნას ხელისუფლების მტკიცე და მოსახლეობასთან ახლო მდგომი ორგანოები, რომელნიც ხელმძღვანელობას გაუწევენ მთლად რაიონების პოლიტიკურ, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებას;

ბ) ოლქებისა და მაზრების გაუქმებამ, როგორც საერთო წესი, არ უნდა გამოიწვიოს არსებული რაიონებისა და სასოფლო საბჭოების მიერ გაერთიანებული ქვედა ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური გადიდება ან შემცირება;

გ) საქართველოს სსრ-ის ყველა ქალაქთა შორის გამოყოფილ უნდა იქნენ დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულებად, რომელიც რაიონების შედგენილობაში არ შევლენ, ქ. ტფილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი და სოხუმი; დანარჩენი ქალაქები და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილები შევლენ, როგორც ქვედა ერთეულები, სათანადო რაიონების შედგენილობაში;

დ) აფხაზეთის სს რესპუბლიკას, აჭარისტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკას და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს შეენარჩუნებათ მათი უფლებანი სრული მოკულობით, როგორც გათვალისწინებულია მომქმედ კანონში;

ე) სარაიონო სისტემაზე გადასვლამ არ უნდა გაადიდოს საადმინისტრაციო სამმართველობო ხარჯი ადგილობრივი ბიუჯეტით 1929/30 წლის საამისო საერთო ასიგვნებთან შედარებით;

ვ) როგორც საერთო წესი, სარაიონო საბჭოთა ყრილობას და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს გადაეცემა ყველა უფლება და დაეკისრება ყველა მოვალეობა, რაც მომქმედი კანონმდებლობით მიკუთვნებული აქვს საოლქო საბჭოთა ყრილობას და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს;

ზ) რაიონებსა და ამა მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნულ ქალაქებს მიეკუთვნება ყველა საშემოსავლო წყარო, რაც მომქმედი კანონმდებლობით მიჩენილი აქვთ ოლქებს;

თ) როგორც საერთო წესი, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და ამა მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნულ ქალაქების საქალაქო საბჭოების გამგებლობაში გადაიცემა ყველა საწარმო და სოციალურ-კულტურული დაწესებულება, რაც ამჟამად საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების უშუალო გამგებლობაშია, გარდა იმ საწარმოსი თუ დაწესებულებისა, რომელიც სამეურნეო მიზანშეწონილობის მოსახრებით ან მისი სარაიონთაშორისო მნიშვნელობის გამო უნდა გადაიცეს საქართველოს სსრ-ის სათანადო ცენტრალური დაწესებულების გამგებლობაში საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული სით.

5. დაევალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებულ ოლქებისა და მაზრების სალიკვიდაციო კომისიას დეკადის ვადაზე: ა) შეიმუშაოს საკითხი ცენტრალური რესპუბლიკანური ორგანოების მიერ ხელისუფლების ქვედა ორგანოებისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გაწვევის გაძლიერებისა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან დაუყოვნებლივ უშუალო კავშირის დამყარების შესახებ; ბ) შეიმუშაოს პროექტი დადგენილებისა 1930/31 წელს ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის შემოსავლისა და გასავლის განაწილების შესახებ, რისთვისაც მხედველობაში იქონიოს ის დირექტივი, რომლის მიხედვითაც ყველგან საჩქაროდ შემოღებულ უნდა იქნეს დამოუკიდებელი სასოფლო ბიუჯეტები.

დაევალოს იმავე კომისიას ხუთი დღის ვადაზე წარმოადგინოს ცალკეული ოლქებისა და მაზრების ლიკვიდაციის კონკრეტული გეგმა და ვადები.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ-ის ყველა სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ დაწესებულებას და აგრეთვე კოოპერატიული ორგანიზაციების ცენტრებს ხუთი დღის ვადაზე წარუდგინონ ზემოაღნიშნულ კომისიას მათი ადგილობრივი ორგანოების რეორგანიზაციის გეგმა ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ დაყოფასთან დაკავშირებით.

7. აეკრძალოს ყველა ცენტრალურ დაწესებულებას და ორგანიზაციას, ზემოაღნიშნული რეფორმის სრულ განხორციელებამდე. გადაიყვანოს ცალკეული პასუხისმგებელი მომუშავეები და სპეციალისტები ლიკვიდირებული საოლქო და სამაზრო აპარატიდან ცენტრში.

8. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ის, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დეკადის ვადაზე წარუდგინონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების რეორგანიზაციის გეგმა და აგრეთვე მათი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დარაიონების საქირო ცვლილებათა პროექტი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღმ. თ. ულენტი.

1930 წ. ივლისის 30  
ტფილისი-სასახზე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 178 №-ში 1930 წ. ივლისის 31.

## 231. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.ა. და ს.ა.ს.

1930 წ. აგვისტოს 15-დან ტფილისისა, კახეთისა, ქუთაისისა და გორის ოლქებისა და სენაკის მაზრის ლაკვიდაციისა და რესპუბლიკის ამ ნაწილში ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებსა და სარაიონო ორგანოებს შორის უშუალო კავშირის დამყარების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. 1930 წლის აგვისტოს 15-დან ტფილისისა, კახეთისა, ქუთაისისა და გორის ოლქები და სენაკის მაზრა ცნობილ იქნეს ლიკვიდირებულად და იმავე რიცხვიდან მოიხსნოს სათანადო საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მოქმედება.

2. წინადადება მიეცეს ყველა ცენტრალურ დაწესებულებასა და ორგანიზაციას და ყველა იმ რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც შედიოდა ზემოაღნიშნული გაუქმებული ოლქებისა და მაზრის შედგენილობაში, დაამყარონ 1930 წლ. აგვისტოს 15-დან ურთიერთ შორის უშუალო კავშირი.



**შენიშვნა.** ყოველგვარ მიწერმოწერას პრინციპიალური საკითხების გამო სარაიონო ორგანოებსა და ცენტრალურ დეწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის როგორც ცენტრალური, ისე სარაიონო ორგანოები გაუგზავნიან ასლის სახით განსაკუთრებულ კომისიებს, რომელნიც დაარსებულ არიან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აგვისტოს 5-ის დადგენილებით ოლქებისა და მაზრების სალიკვიდაციოდ.

3. გაუქმებული საოლქო ორგანოების საქმეებისა და ქონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის გადაცემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს გადასწყვეტენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აგვისტოს 5-ის დადგენილებით ოლქებისა და მაზრების სალიკვიდაციოდ დაარსებული სათანადო კომისიები.

საოლქო ორგანოების ის დაუმთავრებელი საქმეები, რაც ცალკეულ რაიონებს არ ეხება, უნდა გადაეცეს საუწყებო ქვემდებარეობის მიხედვით, საქართველოს სსრ-ის სათანადო ცენტრალურ დაწესებულებათ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღ. თ. უღენტა.

1930 წ. აგვისტოს 16.  
ტფილისი—სასახლე

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 192 №-ში 1930 წ. აგვისტოს 17.

## 232. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ზოგიერთი რაიონის გაუქმების შესახებ.**

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ოლქების გაუქმებასთან დაკავშირებით და ხელისუფლების სარაიონო ორგანოების განმტკიცების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

### I.

1. გაუქმებულ იქნეს ტფილისის (საგარეთუნო) რაიონი და ამ რაიონში წინააღმდეგადად აღმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულები, რომელთაც აერთიანებენ:

ა) ავქალისა, დილომისა, თელეთისა, წყნეთისა და კოჯრის სასოფლო საბჭოები, მოქცეულ იქნეს ტფილისის საქალაქო საბჭოს მიერ გაერთიანებულ და მის ქვემდებარე ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულში;

ბ) ნაზარლოს, ყარაიას და აღთაღლის სასოფლო საბჭოების მიერ გაერთიანებული ერთეულები—მოქცეულ იქნეს ბორჩალოს რაიონში;

გ) ნორიოს და მარტყოფის სასოფლო საბჭოების მიერ გაერთიანებული ერთეულები—გარე-კახეთის რაიონში;

დ) კოდის სასოფლო საბჭოს მიერ გაერთიანებული ერთეულები—მანგლის-აღბულაღის რაიონში.

2. მანგლისის და აღბულაღის რაიონები გაერთიანებულ იქნეს ერთი რაიონად მანგლის-აღბულაღის რაიონად—ცენტრით სოფ. აღბულაღში.

**შენიშვნა.** სოფ. მანგლისის საკურორტო ზონა გამოიყოფა მანგლის-აღბულაღის რაიონიდან და გადაიცემა ტფილისის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში.

3. გაუქმდეს აწყურის რაიონი და მოქცეულ იქნეს ახალციხის რაიონის შედგენილობაში, გარდა იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულისა, რომელსაც აერთიანებს ტაძრისის სასოფლო საბჭო და აღნიშნული ერთეული მიეკუთვნოს ბორჯომის რაიონის შედგენილობას.

4. გაუქმდეს საჩხერის რაიონი და მოქცეულ იქნეს კიათურის რაიონში.

## II.

1. ვიდრე საბჭოების ახალი არჩევანი მოხდებოდეს, გაუქმებული აწყურის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრი გადარიცხულ იქნეს ახალციხის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში, ხოლო გაუქმებული საჩხერის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრი კიათურის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში.

მანგლის-აღბულაღის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში გადარიცხულ იქნენ გაერთიანებული მანგლისისა და აღბულაღის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების წევრები.

2. 1930 წლ. სექტემბრის 1-მდე მოხდეს მანგლის-აღბულაღისა, ახალციხისა და კიათურის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების არჩევნები.

**შენიშვნა.** ზემოაღნიშნული სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პლენუმებს, ამა დადგენილების მე-II განყოფილების 1-ლ მუხლში განსაზღვრული შედგენილობით მოიწვევენ პრეზიდიუმების ასარჩევად და რეფორმასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების განსახილველად სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების ძველი შედგენილობანი.

3. ამა დადგენილების შეფარდებიდან გამომდინარე დირექტივებსა და განმარტებებს იძლევიან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის აგვისტოს 5 ს დადგენილებით ოლქების სალიკვიდაციო მოწყობილი განსაკუთრებული კომისიები, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ცენტრალური კომისიის საერთო დირექტივების მიხედვით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მაგლობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღმ. თ. უღენტი.

1930 წ. აგვისტოს 16.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 192 №-ში 1930 წ. აგვისტოს 17-ს.

## 233. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

## გასართობისა და სანახაობის ადგილობრივი გადასახადის შესახებ.

„გასართობებსა და სანახაობებზე არსებული ადგილობრივი გადასახადისა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთავრის სასარგებლოდ შემოღებული განსაკუთრებული გამოსაღების გაერთიანების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 16-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-20 №-ი, მუხ. 219) მე 2 მუხლის თანახმად და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 3-ის დადგენილებით დამტკიცებული ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა უკიდურესი განაკვეთების ნუსხის (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-ი, მუხ. 81; მე-20 №-ი, მუხ. 227; 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 80) მე-3 განყოფილების გასაუქმებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

## I

1. უფლება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს დააწესონ გადასახადი სანახაობაზე და გასართობზე შემსვლელთათვის. ეს გადასახადი გადაიხდებოდათ ქალაქად, აგარაკზე და კუტორტზე გამართულ ფასიან გასართობსა და სანახაობაზე შემსვლელ პირთ შესასვლელი ბილეთის ფასის პროცენტული ზედნართის ან განსაკუთრებულად დადგენილი განაკვეთის სახით.

2. გადასახადისაგან განთავისუფლებიან შემდეგ გასართობსა და სანახაობაზე შემსვლელნი:

ა) მუზეუმში, ლექციაზე და სამეცნიერო ხასიათის გამოფენაზე;

ბ) სახელმწიფო აკადემიურ თეატრსა და ცირკში, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ხოლო საქართველოს სსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში—სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით ცნობილ იქნება აკადემიურ თეატრად და ცირკად;

გ) ამა თუ იმ სანახაობაზე, რომელსაც აქვს პოლიტიკურ-განმანათლებელი მნიშვნელობა, კერძოდ—ისეთ კინო-სეანსზე, როდესაც აჩვენებენ მარტოოდენ პოლიტიკურ-განმანათლებელი ხასიათის ფილმებს, რომელთა სიასაც დაადგენს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან და სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთავრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, ან და როდესაც აჩვენებენ ქრონიკას;

დ) ისეთ დახურულ სანახაობასა და გასართობზე, რაც იმართება საშხედრო მსახურთა და მათ ოჯახთათვის;

ე) ისეთ დახურულ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავენ მუშა-მოსამსახურეთა და პროფესიონალურ კავშირთა ორგანიზაციები მარტოოდენ თავიანთი წევრებისა და მათი ოჯახებისათვის;

გ) სპეციალურად ბავშვებისათვის გამართულ სანახაობაზე;

ხ) ამა თუ იმ სანახაობაზე, რაც იმართება სკოლაში, საავადმყოფოში, თავშესაფარში, და თავისუფლების აღკვეთის ადგილას — მოსწავლეთათვის, ავადმყოფთათვის, შვერდომილთათვის და დაპატიმრებულთათვის;

თ) ისეთ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავენ უპატრონო ბავშვების დამხმარე კომისიები — მეწარმე-ანტრეპრენიორების უმონაწილეოდ;

ი) ისეთ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავენ ომის ინვალიდებისა, ავადმყოფი, დაჭრილი და დემობილიზებული წითელ-არმიელებისა და ომში დაღუპული პირების ოჯახების დამხმარე კომიტეტები მეწარმე-ანტრეპრენიორების უმონაწილეოდ;

კ) ისეთ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავენ სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა შენაერთისა და სრულიად საქართველოს უსინათლოთა შენაერთის ორგანიზაციები მეწარმე-ანტრეპრენიორების უმონაწილეოდ;

ლ) ისეთ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავენ გლეხთა სახლები მეწარმე-ანტრეპრენიორების უმონაწილეოდ;

მ) ისეთ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავენ ინტერვენციის მსხვერპლთა დამხმარე საზოგადოება და მისი ორგანოები მეწარმე-ანტრეპრენიორების უმონაწილეოდ;

ნ) ისეთ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავს საერთაშორისო წითელი სტადიონის მშენებელთა საზოგადოება, წითელი სტადიონის ტერიტორიის გარეშე მყოფი კინო-თეატრების გამოკლებით;

ო) ისეთ სასპორტო-მაჩვენებელ სანახაობასა, რასაც მართავენ ფიზკულტურის რესპუბლიკანური, საოლქო და სამაზრო საბჭოები;

პ) ისეთ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავს ტფილისის ღარიბთა დამხმარე საზოგადოება;

ამის გარდა განთავისუფლებდა:

ჟ) უფასო ბილეთები და შესაშვები ბარათები (კონტრამარკები), რასაც კულტშეფობის წესით მისცემენ სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახებს ხელოვნების მომუშავეთა კავშირის სრულიად საკავშირო ცენტრალური გამგეობის განყოფილებანი;

რ) უფასო თამაშობა ბილიარდზე მუშათა, მოსამსახურეთა და წითელ არმიელთა კლუბებში, გლეხის სახლში, აგრეთვე სხვა დაწესებულებებში, რომელნიც მოსამსახურეობას უწყვენ მშრომელთა კულტურულ საჭიროებათ.

3. აღნიშნული გადასახადისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი მტკიცე განაკვეთები:

ა) სადრამო, საოპერო (მათ რიცხვში კომიკური ოპერისაც) და საბალეტო თეატრებისათვის, სამფონიური აღსრულებისათვის, სამხატვრო და სხვა გამოფენებისათვის — ბილეთის ფასის . . . 10%;

ბ) კონცერტებისათვის, ლიტერატურული და მუსიკალური დილა-სადამოებისათვის — ბილეთის ფასის . . . 15%;

გ) სასპორტო შეჯიბრებისათვის, საზოგადოებრივი სათამაშოებისათვის, ცირკებისა და მექანიკური თეატრებისათვის (კინომატოგრაფების გამოკლებით) — ბილეთის ფასის . . . 20%;

- დ) კინომატოგრაფებისათვის — ბილეთების ფასის . . . 15<sup>0</sup>/<sub>0</sub>;
- ე) მსუბუქი ჟანრის სანახობებისათვის (ოპერეტი, მსუბუქი კომედია, ფარსი, კაბარე, მინიატურა და სხვ. ამგვ.) ბილეთის ფასის . . . 60<sup>0</sup>/<sub>0</sub>;
- ვ) მსუბუქი ჟანრის სანახობებისათვის მაგიდებით და ისეთი დაწესებულებებისათვის, სადაც სწარმოებს ლოტო ან ბილიარდზე თამაში — თითო შემსვლელზე . . . 30 კაპ.;
- ზ) მასკარადისა და საცეკვაო საღამოებისათვის — ბილეთების ფასის . . . 100<sup>0</sup>/<sub>0</sub>;
- თ) რბენისა და დოლისათვის — ბილეთის ფასის . . . 30<sup>0</sup>/<sub>0</sub>;
- ი) რბენისა და დოლისათვის ტოტალიზატორით — ბილეთის ფასის . . . 70<sup>0</sup>/<sub>0</sub>;

4. გადასახადი საჯარო სანახობასა და გასართობზე შემსვლელს გადახდება შესასვლელი ბილეთის ფასთან ერთად, განუყოფელად.

5. ფასიანი სანახობის და გასართობის პასუხისმგებელ გამგეს, რომელიც შეუშვებს მიმსვლელს — მისი ხვედრი გადასახადის გადაუხდეინებლად ან გადაუხდეინებს დადგენილებაზე ნაკლებს, დაედება ფულადი გადასახდელი არა უმეტეს გადაუხდელი თუ დანაკლისი გადასახადის თანხის ოცდაათიჯერადი რაოდენობისა.

6. ამ გადასახადით შემოსული თანხებიდან (როგორც ძირითადი გადასახადისა, ისე ჯარიმისა) 60<sup>0</sup>/<sub>0</sub> ზაირიცხება სათანადო საბჭოს ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო 40<sup>0</sup>/<sub>0</sub> — სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარ-მთავრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე ანგარიშზე.

7. ინსტრუქციას ამა გადასახადის გადახდეინებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი — საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან (ხოლო საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში — სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან) და სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარ-მთავრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით.

## II

ამა დადგენილების I კარის შესაბამისად:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატსა და საბჭოს 1929 წ. იანვრის 8-ის დადგენილებაში „რესპუბლიკანურსა და ადგილობრივ ბიუჯეტში ჩასარიცხვ გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდის სფეროში ზოგიერთი ორგანიზაციისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 33) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

მე-4 მუხლის „გ“ პუნქტი გაუქმებულ იქნეს;

იმევე მუხლის „დ“ პუნქტი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„წყალში დალუპვისაგან დამარჩენ მოხალისე საზოგადოებათ — განთავისუფლება ყველა ადგილობრივი გადასახადისაგან ამ ორგანიზაციების ქონებისა, რაც ხელს უწყობს და საექსპლოატაციოდ გამოყენება წყალში დალუპვისაგან დამარჩენის მიზნით; აგრეთვე განთავისუფლება პლაკატებისა, აფიშებისა, რეკლამე-

მებისა და განცხადებისა, რაც გამოშვებულ იქნება წყალში გადარჩენის საქმის იდეების პროპაგანდის მიზნით“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 11-ის დადგენილება „წითელი არმიის პოლიტ-განმანათლებელი დაწესებულებების მიერ მოსაწყობ სანახაობათა და გასართობთა ადგილობრივი გადასახადისა და გამო-საღებისაგან განთავისუფლების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-13 № ი, მუხ. 143);

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 5-ის დადგენილება „სააგარაკო და საკურორტო დასახლებულ ადგილებში გამართულ სანახაობებსა და გასართობებზე შემსვლელთათვის სრულიად საქართველოს წი-თელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთავრის საზოგადოების სასარგებლოდ გა-მოსაღების დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 21 №-ი, მუხ. 235).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-  
ლებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე გ. მაგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-  
ლებელი კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღმ. თ. ულენტი.

1930 წ. აგვისტოს 22.  
ტფილისი — სასახლე.

## 234. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სისხლის სამართლის კოდექსის 200<sup>1</sup> მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრუ-ლებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1 №-ი მუხ. 7) სრუ-ლიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართვე-ლოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 200<sup>1</sup> მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„200<sup>1</sup>. ოთხფეხი საქონლის ფარულად დაკვლა, აგრეთვე გაყიდვის მიზნით სასაკლაოს გარეშე საქონლის დაკვლა, ხოლო, უკეთუ უწყებულ ადგილას სა-საკლაო არ მოიპოვება, საქონლის დაკვლა სავეტერინარო და სასანიტარო-საპი-გიენო ზედამხედველობის წესების დარღვევით გამოიწვევს

ჯარიმას არა უმეტეს დაკლული საქონლის პროდუქტისა და დასაკლავად მომზადებული საქონლის ღირებულების ხუთჯერადი რაოდენობისა, ხოლო არა ნაკლებ პროდუქტისა და საქონლის ერთმადი ღირებულებისა“.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მაგლობლიშვილი**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია**.

1930 წ. აგვისტოს 30.

ტფილისი—სასახლე.

## საქართველოს ადგილობრივი კომისიების დადგენილებანი.

235. დადგენილებანი ც. ა. კ.

ოლქისა და მაზრების ლიკვიდაციისათვის ადგილობრივი კომისიების დანიშ-  
ვნის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:  
„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ოლქებისა და მაზრების გაუქმების შე-  
სახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის  
ივლისის 30-ის დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად დამტკიცებულ იქნეს სა-  
ოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან ოლქებისა და მაზრების  
ლიკვიდაციისათვის მოსაწყობი განსაკუთრებული კომისიების (სამეულების) შემ-  
დეგი შედგენილობა:

**ტფილისის ოლქში**—ამხ. სუხიშვილი (თავმჯდომარე), ამხ. გეურქოვი და  
ამხ. ავაქოვი;

**ქახეთის ოლქში**—ამხ. მათიკაშვილი (თავმჯდომარე), ამხ. რობელიძე და  
ამხ. კ. ჩხარტიშვილი;

**გორის ოლქში**—ამხ. გ. დევედარიანი (თავმჯდომარე), ამხ. ცხოვრებაშვილი  
და ამხ. კალმახელიძე;

**ქუთაისის ოლქში**—ამხ. დარახელიძე (თავმჯდომარე), ამხ. კომახიძე და  
ამხ. ნადარეიშვილი;

**ახალციხის მაზრაში**—ამხ. ა. სიამაშვილი (თავმჯდომარე), ამხ. შაბანოვი  
და ამხ. იგიტხანოვი;

**ახალქალაქის მაზრაში**—ამხ. ესაიანი (თავმჯდომარე), ამხ. გალუსტიანი  
და ამხ. არუთინოვი;

- სენაკის მაზრაში — ამხ. ჩარგაზია (თავმჯდომარე), ამხ. მონიავა და  
 ამხ. კ. ცავა;  
 ზუგდიდის მაზრაში — ამხ. ქვანია (თავმჯდომარე), ამხ. გვასალია და  
 ამხ. გვახარია;  
 ოსურგეთის მაზრაში — ამხ. კვირიკაძე (თავმჯდომარე), ამხ. რამიშვილი და  
 ამხ. შ. ცქვიტინაძე;  
 ზემო-სვანეთის მაზრაში — ამხ. ი. დოლიძე (თავმჯდომარე), ამხ. ნეაარიანი  
 და ამხ. გუჯეჯიანი;

3. ზემოაღნიშნული კომისიები სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
 რულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ცენტრალური კომისიის დი-  
 რექტივების მიხედვით, აწარმოებენ საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კო-  
 მიტეტების ლიკვიდაციას და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის  
 ქონებისა და ქონებრივ უფლებათა გადაცემას და, საერთოდ, ყველა იმ მოქმე-  
 დებას, რაც საქირთა ოლქებისა და მაზრების ლიკვიდაციისათვის.

3. წინადადება მიეცეს პირველ მუხლში აღნიშნულ კომისიებს დაუყოვნებ-  
 ლივ გამოყონ საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების აპარატები-  
 დან ფინანსიურ დარგში მომუშავენი და მიაღვინონ ეს მომუშავენი სარაიონო  
 აღმასრულებელ კომიტეტებში 1930/31 წლ. ადგილობრივი ბიუჯეტების შესად-  
 გენად.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ბიუჯეტები შედგენილ უნდა იქ-  
 ნას ფინანსთა სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობითა და ზემოაღ-  
 ნიშნული კომისიების დირექტივებით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-  
 ლებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი  
 კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღმასრ. თ. უღენტა.

1930 წ. აგვისტოს 5.  
 ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 182 №-ში 1930 წ. აგვისტოს 6.

## სახალხო კომისარიატის საბჭოს დადგენილება

236. დადგენილება ს. კ. ს.

სახელმწიფო დაწესებულებებში მეცადინეობის დაწყების დროის შესახებ.

„სახელმწიფო დაწესებულებებში მეცადინეობის დაწყების დროის შესახებ“  
 გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1927 წ. აპრილის





29-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-ი, მუხ. 69) შესაცვლელად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ქალაქ ტფილისის ყველა დაწესებულებაში მეცადინეობის დაწყებისათვის განსაზღვრულ იქნეს სამი ვადა: ზაფხულის პერიოდში, ე. ი. მაისის 1-დან სექტემბრის 30-მდე, დილის 8,8 $\frac{1}{2}$  და 9 საათი, ხოლო ზამთრის პერიოდში, ე. ი. ოქტომბრის 1-დან აპრილის 30-მდე დილის 8 $\frac{1}{2}$  და 9 $\frac{1}{2}$  საათი.

2. წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს, ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით, ათი დღის ვადაზე დამატაციკოს და გამოაქვეყნოს ქალაქ ტფილისის იმ დაწესებულებათა სია, რომელთაც მეცადინეობა 1-ლ მუხლში აღნიშნული განრიგების მიხედვით უნდა დაიწყონ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მაღლობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1929 წ. ივლისის 26.

ტფილისი—სახალხო.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 182 №-ში 1930 წ. აგვისტოს 6.

## 237. დადგენილება ს. კ. ს.

საბამებ მინდვრების დამუშავების დაჩქარებისა და გაუმჯობესების შესახებ.

„საბამებ მინდვრების დამუშავების დაჩქარებისა და გაუმჯობესების შესახებ“ გამოცემული ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 23-ის თარიღისა და 265 №-ის დადგენილების თანახმად („ზარია ვოსტოკა“-ს 196/2464 №-ი 1930 წ. ივლისის 24-ისა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიეცეს პრემიის სახით, როგორც დამატება, არსებულ ნორმაზე ზედმეტად, ორი ფუთი პური (მარცვლად) თვითივე ჰექტარ ფაქტიურად დამუშავებულ ბამბის ნათესზე ყველა კოლექტიურ და ინდივიდუალურ (ღარიბ და საშუალო) მეურნეობას, რომელიც არა უგვიანეს 1930 წ. აგვისტოს 1-ისა ბამბის ნათესს ორჯერ შემოაყრის მიწას და გამარგლავს, ხოლო აგროკომპლექსების რაიონებში შეასრულებს ორ კულტივაციას.

პური გაიცეს ანგარიშის ნაღდი გასწორებით მტკიცე ფასებში.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებულის გარდა, მიეცეს დამატებით იმავე მეურნეობათ, რომელიც არა უგვიანეს 1930 წ. აგვისტოს 10-ისა ბამბის ნათესს სამჯერ შემოაყრიან მიწას და გამარგლავენ, ხოლო აგროკომპლექსის რაიონებში შეასრულებენ სამ კულტივაციას, თვითივე ჰექტარ ფაქტიურად დამუშავებულ ბამბის ნათესზე თითო ფუთი პური (მარცვლად),

თითო კილოგრამი შაქარი და სამ-სამი მეტრი ბამბეული მანუფაქტურა იმავე პირობებით (ანგარიშის ნაღდად გასწორება და მტკიცე ფასები).

3. ის მეურნეობა, რომელმაც მხოლოდ ერთხელ გამარგლა ნათესი და შეასრულა ერთი კულტივაცია, მიიღებს მეორე აენსის გაცემის დროს დადგენილ პურის ნორმას და მოიხსნება სამრეწველო საქონლით მომარაგებიდან.

ის მეურნეობა, რომელმაც სრულიად თავი აარიდა საბამზე მინდვრების დამუშავებას და არც ერთხელ არ გამარგლა ნათესი და არ შეასრულა არც ერთი კულტივაცია, 1929-30 წლის მეოთხე კვარტალში მოიხსნება პურით მომარაგებიდან, დაჰკარგავს სამრეწველო საქონლის მიღების უფლებას და სამეზამბეო კოოპერაციასთან დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებაში აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებს ამ ხელშეკრულების მიხედვით.

**შენიშვნა.** იმ მეურნეობის მეთაური, რომელმაც არაპატივისცემად მიზეზით თავი აარიდა ხელშეკრულებით ნაკისრებ ბამბის ნათესების დამუშავებას, მიიციმა აგრეთვე პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლის თანახმად.

4. დაევალოს სოფლის (პოსელოკის) საწარმოო სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათ, ხოლო იქ, სადაც ეს ამხანაგობანი მოწყობილ არ არიან, სასოფლო საბჭოებს—დაამუშაონ თავიანთი სახსარით და ძალით თავდანებებული ბამბის ნათესები და მოკრიფონ მოსავალი ამ ნათესების პატრონის ხარჯზე და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საწარმოო ხარჯები დაჰფარონ იმ თანხებიდან, რაც მიიღება სათანადო მინდვრების მოსავლის რეალიზაციით.

5. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირს „სოფლის კავშირს“ ყოველწლიურ უზრუნველყოფის წინა მუხლებში აღნიშნულ ღონისძიებათა საესებით და სასწრაფოდ განხორციელება.

6. წინადადება მიეცეს ტფილისისა და კახეთის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს სამი დღის ვადაზე შეატყობინონ სასოფლო საბჭოების მეშვეობით იმ ადგილების მოსახლეობას, სადაც სწარმოებს ბამბის თესვა, ამა დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. ივლისის 26.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 175 №-ში 1930 წ. ივლისის 27.

## 238. დადგენილება ს. კ. ს.

**მეორე საფეხურის მეორე კონცენტრის შრომის სკოლების (ათწლედების) სპეციალურ ტენიკუმებად გადაკეთების შესახებ.**

რათა საშუალო სკოლა სათანადოდ შეფარდებულ იქნეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და კულტურული მშენებლობისათვის საჭირო სპეციალისტების კადრების მომზადების უშუალო ამოცანებთან, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მეორე საფეხურის მეორე კონცენტრის შრომის სკოლები (ათწლედები) 1930-31 წლიდან გადაკეთებულ იქნეს, ქვემოაღნიშნულ საფუძველზე, სპეციალურ ტენიკუმებად სწავლების სამწლიანი კურსით და ეს ტენიკუმები, პედაგოგიური ტენიკუმების გამოკლებით, გადაიცეს სათანადო სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო ორგანიზაციების გამგებლობაში.

2. მენდოს განათლების სახალხო კომისარიატს, იმ უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, რომელთა გამგებლობაშია ც გადაიცემა ზემოაღნიშნული სპეციალური ტენიკუმები, განსაზღვროს ტენიკუმების ქსელი, მათი სპეციალობა და სამყოფელი ადგილი; ეს განსაზღვრა უნდა მოხდეს შრომის სკოლების-ათწლედების სპეციალურ ტენიკუმებად გადაკეთებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული რეორგანიზაციის გეგმის საფუძველზე და ზემოაღნიშნული უწყებებისა და ორგანიზაციების რეალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების კადრების მიმართ.

3. წინა მუხლში აღნიშნული რეფორმის განხორციელებისათვის სანელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) შრომის სკოლების-ათწლედების მერვე ჯგუფების ნაცვლად 1930-31 სასწავლო წელს გაიხსნას მხოლოდ სპეციალური ტენიკუმების პირველი კურსები; ამასთანავე სპეციალური ტენიკუმების გასახსნელი პირველი კურსების საერთო რაოდენობა, — რაც იმისდამხინდევით განისაზღვრება, თუ რა რეალური მოთხოვნილება იქნება სხვადასხვა სპეციალობის საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების კადრებისადმი, — უნდა შეესაბამებოდეს საშუალოდ შრომის სკოლების-ათწლედების 1929-30 სასწავლო წელს მოქმედ მერვე ჯგუფების საერთო რაოდენობას;

ბ) შრომის სკოლების მეცხრე და მეთექვსმეტე ჯგუფები, როგორც საერთო წესი, დატოვებულ იქნეს სალიკვიდაციო ჯგუფების სახით, მათ პროგრამებში გათვალისწინებული განხრების შენარჩუნებით, პედაგოგიურ განხრისანი შრომის სკოლების გამოკლებით, რომლებშიაც აღნიშნული ჯგუფები გადაკეთებულ უნდა იქნეს პედაგოგიური ტენიკუმების მეორე და მესამე კურსებად;

გ) ქ. ტფილისში არსებული სპეციალური კურსების ყველა ჯგუფი, — ამ კურსების იმავე სპეციალობის ტენიკუმებად გარდაქმნის დროს, — გადაკეთებულ იქნეს სპეციალური ტენიკუმების სათანადო კურსად; ხოლო, უკეთეს ასეთი კურ-

სები სხვა სპეციალობის ტენიკუმებად იქნებიან გარდაქმნილი, შეფარდებულ უნდა იქნეს ამა მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული საერო წესი;

დ) შრომის სკოლების-ათწლედების სალიკვიდაციო ჯგუფები დატოვებულ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში; ამასთანავე, უკეთეს ჯგუფები და სპეციალური ტენიკუმების კურსები ერთ შენობაში იქნებიან, როგორც პირველნი, ისე მეორენი უნდა დაექვემდებარნენ ერთიან ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას;

ე) იმ ადგილებში, სადაც, ამა დადგენილებით გათვალისწინებული რეფორმის განხორციელების დროს, უნდა მოეწყოს მსგავსი სპეციალობათა რამდენიმე ტენიკუმი, შეფარდებულ უნდა იქნეს ტენიკუმ-კომბინატების სისტემა სხვადასხვა სპეციალობის განყოფილებებით, რომელნიც გაერთიანებულ იქნებიან საერთო ადმინისტრაციული ხელმძღვანელობით და გამოიყენებენ საერთო გაწყობილობას; იმავე წესით გაერთიანებულ უნდა იქნენ ერთი და იმავე სპეციალობის ნაციონალური ტენიკუმები ნაციონალური სექტორების შექმნით.

4. სასწავლო გაწყობილობა დატოვებულ იქნეს სათანადო შრომის სკოლების განკარგულებაში; ამასთანავე, მიეცეს ტენიკუმებს უფლება გამოიყენონ ეს გაწყობილობა შრომის სკოლებთან ერთად 1930-31 სასწავლო წლის განმავლობაში; ამის შემდეგ ტენიკუმები მოვალენი არიან მოიპოვონ საკუთარი ლაბორატორიები, სახელოსნოები, კაბინეტიები და სხე.

დროებით, 1932 წ. სექტემბრის 1-მდე, ტენიკუმები დატოვებულ იქნენ სათანადო შრომის სკოლების სადგომებში და დაევალოს იმ უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა გამგებლობაშიაც ეს ტენიკუმებია, ამ ვადის განმავლობაში უზრუნველჰყონ ტენიკუმები შესაფერი სასწავლო შენობებით.

5. წინადადება მიეცეს იმ სახალხო კომისარიატებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს, რომელთა გამგებლობაშიაც რეორგანიზებული ტენიკუმები გადაიციემა, გაითვალისწინონ თავიანთ 1930-31 წ. ხარჯთაღრიცხვებსა და სამორწყველო საფინანსო გეგმებში სპეციალური ტენიკუმების გასახსნელი კურსების შესანახად საჭირო სახსარი, ხოლო განათლების სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოებმა უნდა უზრუნველჰყონ თავიანთ ხარჯთაღრიცხვაში შრომის სკოლების-ათწლედების სალიკვიდაციო ჯგუფებისა და სპეციალური კურსების შენახვა.

6. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს, დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, შეიმუშაოს სასწრაფო წესით მეორე საფეხურის მეორე კონცენტრის შრომის სკოლების სპეციალურ ტენიკუმებად გადაკეთების კონკრეტული გეგმა და, ამ გეგმის თანახმად, ფაქტიურად გადასცეს სპეციალური ტენიკუმები სათანადო უწყებებსა და ორგანიზაციებს არა უგვიანეს 1930 წლის აგვისტოს 10-ისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მაგლობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. ივლისის 30.  
ტფილისი—სახალხო.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 183 №-ში 1930 წ. აგვისტოს 7.

## 239. დადგენილება ს. კ. ს.

სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებზე მყოფ უწყებათა და დაწესებულებათა, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშით მომქმედ სახელმწიფო ორგანოთა, შერეულ სააქციო საზოგადოებათა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა 1930/31 საბიუჯეტო წლის საადმინისტრაციო საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ივლისის 21-ის თარიღისა და 191 ნომრის დადგენილების თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ უწყებათა და დაწესებულებათა, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშით მომქმედ რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოთა საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატის რეგისტრაციაში გასატარებულ შერეულ სააქციო საზოგადოებათა და რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ორგანიზაციათა 1930/31 წლის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები აღრიცხულ უნდა იქნეს შემდეგ დებულებათა საფუძველზე:

ა) 1930/31 წლის ხარჯთ-აღრიცხვების შედგენის დროს საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები, განსაკუთრებით სამეურნეო ანგარიშით მომქმედ სახელმწიფო ორგანოთა, სააქციო საზოგადოებათა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ხარჯები მაქსიმალურად შემცირებულ უნდა იქნეს 1929/30 წლის სათანადო ხარჯებთან შედარებით.

რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოთა საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები 1929/30 წლის ხარჯებთან შედარებით უნდა შემცირდეს საშუალოდ არა ნაკლებ  $10\%$ -ისა. სამეურნეო ანგარიშით მომქმედ დაწესებულებათა საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების პროცენტი მათ ბრუნვასთან შედარებით მცირე უნდა იყოს ასეთივე ხარჯების პროცენტზე 1929/30 წლის ბრუნვასთან შედარებით არა ნაკლებ, ვიდრე 25 პროცენტით.

აღნიშნული ხარჯების შემცირება უნდა მოხდეს 1929/30 წელს აპარატის რაციონალიზაციისათვის და ეკონომიის რეჟიმის განხორციელებისათვის ჩატარებულ ღონისძიებათა საფუძველზე და აგრეთვე იმ ღონისძიებათა საფუძველზე, რაც განხორციელებულ იქნება 1930/31 წელს.

საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები სოციალურ-კულტურულ ხასიათის დაწესებულებებისა, სამეცნიერო, სასწავლო, სამკურნალო და სხვა დაწესებულებებისა, რომელთა მუშაობაც 1930/31 წელს არ გაფართოვდება, აგრეთვე შემცირებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება თვალსაზრისით რაოდენობით.

1930/31 წლის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების 1929/30 წლის ასეთსავე ხარჯებთან შედარების დროს ხარჯთაღრიცხვებიდან ამოშლილ უნდა იქნეს ხარჯები ისეთი საქიროებათათვის, რომელთაც ადგილი ჰქონდა მხოლოდ 1929/30 წელს და აღარ გამოორდება 1930/31 წელს, აგრეთვე ის ასიგნებები,

რაც დაკავშირებულია სხვა უწყებისა, დაწესებულებისა და საწამოსათვის გადაცემულ ფუნქციებთან.

ბ) ახლად დაარსებული დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები და ახალ საწარმოთა ასეთივე ხარჯები, რაც წარმოებულ არ ყოფილა 1929/30 წელს, აღრიცხულ უნდა იქნეს შეზღუდული ნორმების შეფარდებით. ამასთანავე, ასიგნებები სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ახალი საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის 1930/31 წლის ხარჯთაღრიცხვაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, უკეთეს იმ მომენტისათვის, როდესაც ეს ხარჯთაღრიცხვები განხილულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირში, არსებობს საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოების სათანადო დადგენილება.

2. ყველა ის ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირებას, განხორციელებულ უნდა იქნეს 1929/30 საბიუჯეტო წლის გასვლამდე, რათა 1930/31 წლის დასაწყისიდან ეს ხარჯები სწარმოებდეს შემცირებულ სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებათა ფარგლებში.

3. უწყებებისა, დაწესებულებებისა, სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელნი მოვალენი არიან თვალყური ადევნონ ამა დადგენილების შესრულებას.

4. 1-ლ მუხლში აღნიშნული საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის წესი ვრცელდება აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულებების სპეციალურ სახსართა ხარჯთ-აღრიცხვების შედგენაზე.

5. დაეკისროს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს ამა დადგენილების შესრულების შემოწმება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
 თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. ივლისის 30.  
 ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 183 №-ში 1930 წ. აგვისტოს 7.

## 240. დადგენილება ს. კ .ს.

საქართველოს სსრ-ში საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის დანიშნული განსაკუთრებული რწმუნებულის შესახებ.

საქართველოს სსრ-ში საშემოდგომო თესვის კამპანიის წარმატებით მოზადებისა და გეგმაშეწონილად და დაუბრკოლებლად ჩატარებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის დანიშნულ განსაკუთრებულ რწმუნებულს დაეკისროს საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს საშემოდგომო თესვის კამპანიის მომზადებას და ჩატარებას და აგრეთვე კონტროლი იქონიოს სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ მთავრობათა მიერ საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩასატარებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ გამოცემული დადგენილების შესრულებისათვის.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ მოვალეობათა შესასრულებლად განსაკუთრებულ რწმუნებულს უფლება ეძლევა მოსთხოვოს ყველა დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას შეასრულოს დაუყოვნებლივ ყველა მისი განკარგულება, წარუდგინოს მას ცნობები საშემოდგომო თესვის კამპანიის მოსამზადებლად და ჩასატარებლად მიღებულ ღონისძიებათა შესახებ და აგრეთვე დაუყოვნებლივ ააცილოს საქმეს ის ნაკლი, რაც შემჩნეულ იქნება საშემოდგომო თესვის კამპანიის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

3. განსაკუთრებულ რწმუნებულს უფლება აქვს დაადოს სადისციპლინო წესით გადასახდელი იმ თანამდებობის პირთ, რომელნიც თავის დროზე ან სათანადოდ არ შეასრულებენ მის განკარგულებას ან და ჩაიდენენ ისეთ მოქმედებას, რასაც შეუძლიან ცუდი გავლენა მოახდინოს თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებაზე; აგრეთვე უფლება აქვს, უკეთეს საჭირო იქნება, პასუხისგებაში მისცეს დამნაშავე პირნი სასამართლოს წესით.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც საშემოდგომო კამპანიის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა არ გადაიდება, განსაკუთრებულ რწმუნებულს უფლება აქვს გადასწყვიტოს იგი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით და შემდგომ მოახსენოს იგი სახალხო კომისართა საბჭოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აგვისტო 6.  
ტფილისი—სასახლე.

## 241. დადგენილება ს. კ. ს.

საბინაო-საიჯარო კოოპერაციის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

საბინაო-საიჯარო კოოპერატიული მოძრაობის განსამტკიცებლად და მშრომელთა საბინაო და ყოფაცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს, საქართველოს სსრ საბინაო კოოპერაციის კავშირის მონაწილეობით, უზრუნველპყონ, რათა საბინაო-საიჯარო

რო კოოპერატიულმა ამხანაგობებმა განახორციელონ „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-ი, მუხ. 252) მე-6 მუხლის „ვ“ ლიტერით მათთვის მინიჭებული უფლება—მათ მიერ იჯარით აღებული სახლების საერთო შემოსავლის 5<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ის ამ სახლებში მობინადრეთა ყოფაცხოვრების კოლექტიური მომსახურების მოწყობაზე მიქცევისა.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის საჭირო ხარჯები შეტანილ უნდა იქნეს ნორმირებული ბიუჯეტით გათვალისწინებული სახლთმფლობელობის საექსპლოატაციო ხარჯებში კანონით დადგენილი ბინის ქირის გაუდიდებლად.

2. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს-იმ სადგომებზე, რასაც საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი იჯარით აიღებენ კულტურული და ყოფაცხოვრების ხასიათის დაწესებულებათა მოსაწყობად, ქირა დააწესონ არა უმეტეს, ვიდრე სადგომების ქირის არსებული ტარიფის 50<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს რაოდენობით.

3. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს—გაითვალისწინონ საბინაო ფონდის კაპიტალების გამოყენების გეგმებში, გრძელვადიანი დაკრედიტების პრინციპების საფუძველზე, იმ თანხების გამოყოფა, რაც საჭიროა საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის იჯარით გადაცემული სახლების კაპიტალური რემონტის გასაკეთებლად.

სესხი საბინაო ფონდის ადგილობრივი სპეციალური კაპიტალების სახსარიდან ვაიცემა ვადით 2-დან 8 წლამდე სესხის რაოდენობისა და საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის ბიუჯეტის მდგომარეობის მიხედვით ასეთი სესხის საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 30<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს წლიურად.

4. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს მოახდინონ 1930 წ. ოქტომბრის 1-თვის ლიკვიდაცია კომუნალური ორგანოების მიერ სახლების უშუალო ექსპლოატაციისა (სამანევრო ფონდში შემავალი სახლების გამოკლებით) საბინაო-საიჯარო კოოპერაციის შემდგომი განვითარებისა და სახლთა ტრესტების მოწყობის საშუალებით, აგრეთვე საწარმოთა საბინაო საჭიროებისათვის და სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის იჯარად გადაცემით.

5. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობებისათვის საიჯარო ქირის დაწესების დროს და საბინაო კოოპერაციის მიერ იჯარით აღებული სავაქრო-საწარმოო სადგომების შემოსავლის ანარიცხების განსაზღვრის დროს მიიღონ მხედველობაში, რომ საჭიროა საბინაო კოოპერაციისათვის შეიქმნას ისეთი პირობები, რაც ხელს შეუწყობს საცხოვრებელი სადგომების ნორმალურ ექსპლოატაციას; ყოველ შემთხვევაში, ეს პირობები სახლთა ტრესტებისათვის შექმნილ პირობებზე ნაკლებ ხელსაყრელი არ უნდა იყოს, კერძოდ—საბინაო-საიჯარო კოოპერაცია გადასახადებით დაბევგვის მხრით გათანაბრებულ უნდა იქნეს სახლთა ტრესტებთან.

საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა შორის რემონტისათვის კრედიტების განაწილების დროს კომუნალურმა ბანკებმა მხედველობაში უნდა



მიიღონ: ა) რამდენად დაძველებულია სახლი, ბ) რა სოციალური შედგენილობისა არიან იმ სახლში მობინადრენი, რომელსაც რემონტი უნდა გაუკეთდეს, და გ) რა მდგომარეობაშია სახლის ბიუჯეტი.

საქართველოს სსრ სახალხო  
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მაგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო  
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აგვისტოს 6.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 202 №-ში 1930 წ. აგვისტოს 30.

## 242. დადგენილება ს. კ. ს.

საკოლმეურნეო საქმეში მომუშავეთა რაციონალურად მოხმარებისა და საკოლმეურნეო სისტემის გარეშე სხვა სამუშაოზე არ გამოყენების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიება, რათა თავიდან აცილებულ იქნეს საკოლმეურნეო საქმეში მომუშავეთა სხვა ისეთ სამუშაოზე გამოყენება, რაც უშუალოდ დაკავშირებული არ არის საკოლმეურნეო სისტემაში მუშაობასთან.

2. წინადადება მიეცეს კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს უზრუნველჰყოს რაც შეიძლება უფრო რაციონალურად მოხმარება არსებული კადრებისა და მათი საკოლმეურნეო სისტემის გარეშე სხვა სამუშაოზე გამოყენების წინასწარვე თავიდან აცილება.

3. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ შემოხსენებული ღონისძიება აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მაგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აგვისტოს 16.  
ტფილისი—სასახლე.

## 243. დადგენილება ს. კ. ს.

პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის დამზადებათა ჩატარებისათვის ხელმძღვანელობისა, მეთვალყურეობისა და კონტროლის გასაწევად დანიშნული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის შესახებ.

„პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის დამზადებათა ჩატარებისათვის ხელმძღვანელობისა, მეთვალყურეობისა და კონტროლის გასაწევად დანიშნული“ ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულისა და ა/კფსრ შედგენილობაში შემაჯავლი რესპუბლიკების განსაკუთრებულ რწმუნებულთა შესახებ“ გამოცემული ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 10-ის დადგენილების შესასრულებლად („ზარია ვოსტოკა“-ს 227 №-ი, 1930 წლ.) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულად პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის დამზადების ჩატარებისათვის დანიშნულ იქნეს აშხ. მგალობლიშვილი, ხოლო მის მოადგილედ აშხ. ელერდაშვილი.
2. მოწყობილ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებთან პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის დამზადების ხელისშემწყობი კომისიები შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—რესპუბლიკის განსაკუთრებული რწმუნებულის წარმომადგენელი—სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა, პროფესიონალური კავშირისა, კოოპერაციისა, საფინანსო განყოფილებისა, „სოიუზხლებ“-ისა და „ა/კ ხილეულ-ბოსტნეული“-ს (ზაკპლოდოოვოში) წარმომადგენელი. კომისიები მოქმედობენ რესპუბლიკის განსაკუთრებული რწმუნებულის ხელმძღვანელობით.

3. პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის დამზადებათა ჩატარებისათვის დანიშნულ განსაკუთრებულ რწმუნებულს დაეკისროს, ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის დირექტივებისა და განკარგულებების მიხედვით, ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევა პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის დამზადების წინასწარი სამზადისისა და ჩატარების მსვლელობისათვის და კონტროლი სსრკ-ისა, ა/კფსრ-ისა და საქართველოს სსრ მთავრობის იმ დადგენილებათა განხორციელებისათვის, რაც პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის დამზადებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათ შეეხება.

4. მე-3 მუხლში აღნიშნულ ამოცანათა შესრულებისათვის განსაკუთრებულ რწმუნებულს მიეცეს უფლება:

- ა) მოსთხოვოს როგორც რესპუბლიკანურ, ისე ადგილობრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ შეასრულონ მისი განკარგულებანი და წარუდგინონ მას ცნობები ყველა იმ ღონისძიებათა თაობაზე, რაც პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის დამზადებას ეხება;

ბ) წინადადება მისცეს ყველა დაწესებულებასა, საწარმოს და ორგანიზაციას დაუყოვნებლივ ააცილოს საქმეს ყველა ის ნაკლი, რაც შენიშნულ იქნება პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის დამზადების სფეროში;

გ) პასუხისგებაში მისცეს ყველა დამნაშავე თანამდებობის პირი, რომელიც თავის დროზე ან სათანადოდ არ შეასრულებს მის განკარგულებას, გამოიჩინოს უთაურობას ან ჩაიდენს ისეთ მოქმედებას, რასაც შეუძლიან ცუდი გავლენა მოახდინოს პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის წარმატებით დამზადებაზე;

დ) დაუყოვნებლივ შემთხვევაში, როდესაც საქმის გადადება არ შეიძლება, გადასწყვიტოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ყველა საკითხი პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის დამზადების გამო, რასაც შემდგომ მოახსენებს სახალხო კომისართა საბჭოს.

5. პურ-ფურაჟისა და ხილეულ-ბოსტნეულის დამზადების საქმის განსაკუთრებული რწმუნებულის განკარგულება შეიძლება გააუქმოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ ან ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულმა რწმუნებულებმა.

განსაკუთრებული რწმუნებულის განკარგულებაზე საჩივრის შეტანა ვერ შეიჩივრებს მისი განკარგულების აღსრულებას.

6. განსაკუთრებული რწმუნებულის არ ყოფნის დროს მის მოადგილეს აქვს ყველა ის უფლება, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ვ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აგვისტოს 25.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 204 №-ში 1930 წ. სექტემბრის 2.

## 244. დადგენილება ს. კ. ს.

ოთხფეხი საქონლის დამზადებისა და ხორცის მომზადების წარმატებით ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

„1929-30 წლის მე-4 კვარტალში ა/კფსრ-ისათვის ოთხფეხი საქონლის დამზადებისა და ხორცის მომარაგების შესახებ“ გამოცემული ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 10-ის დადგენილების მე-4 და 7 მუხლების თანახმად („ზარია ვოსტოკა“-ს 228-246 №-ი) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უკეთუ აღმოჩენილ იქნება საქონლის ფარულად დაკვლა, ან გა-

ყიდვის მიზნით სასაკლავო გარეშე საქონლის დაკვლა, ან და, უკეთუ უწყებულ ადგილას სასაკლავო არ მოიპოვება, საქონლის დაკვლა სავეტერინარო და სასანიტარო-საჰიგიენო ზედამხედველობის წესების დარღვევით, — დაუყოვნებლივ მისცენ დამნაშავენი პასუხისგებაში ადმინისტრაციული წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 200<sup>1</sup> მუხლის თანახმად.

2. ფარულად დაკლული საქონელი და ასეთი დაკვლისათვის მომზადებული საქონელი დაქერილ (შეკრულ) უნდა იქნეს დაუყოვნებლივ, ხოლო ადმინისტრაციული გადასახდელის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე — აღნიშნული პროდუქტი და საქონელი უნდა ჩამოერთვას მესაკუთრეთ და გადაეცეს, ადმინისტრაციული წესით დანიშნული ჯარიმის თანხის ანგარიშში, ხორცის მოვაკრე სახელმწიფო ან კოოპერატიულ ორგანიზაციებს იმ მტკიცე ფასების გადახდით, რაც დაწესებულ იქნება ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ.

3. იმ პირობით, რომელნიც აღმოაჩენენ საქონლის ფარულად დაკვლას ან სავეტერინარო და სასანიტარო-საჰიგიენო ზედამხედველობის წესების დარღვევით დაკლული საქონლის ხორცის გაყიდვას, მიეცემათ ჯარიმის თანახმად პრემია აღმოჩენილი ხორცის ან დასაკლავად მომზადებული საქონლის ღირებულების 50 პროცენტის რაოდენობით.

**შენიშვნა.** ამა მუხლში აღნიშნული პრემიის გამოსაანგარიშებლად ხორცისა და საქონლის ღირებულება განისაზღვრება ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ დადგენილი საბითუმო ფასების მიხედვით.

4. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს: ა) მუდმივ თვალყური ადევნონ სათანადო ტერიტორიაზე 1929-30 წლის მე-4 ევარტალში ა/კსფსრ-თვის ოთხფეხი საქონლის დამზადებისა და ხორცის მომარაგების შესახებ<sup>2</sup> გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 10-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 228-2496 №-ი) ზედმიწევნით შესრულებას და ბ) დაამყარონ დაჩქარებით<sup>3</sup> წესი ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ საქმეთა გადაწყვეტისათვის.

წინადადება მიეცეს რესპუბლიკის პროკურორს დაამყაროს ზედამხედველობა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოებისა და დამზადებულ ორგანიზაციების მოქმედებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული — 1930 წ. აგვისტოს 10-ის დადგენილებისა და ამა დადგენილების აღსრულების სფეროში.

5. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარის ტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი სათანადო რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აგვისტოს 25

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 204 №-ში 1930 წ. სექტემბრის 2.

### 245. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 25 მუხლის, 41 მუხლის მე-2 ნაწილისა, 48<sup>1</sup>, 48<sup>2</sup>, 50<sup>1</sup>, 50<sup>3</sup>-54<sup>1</sup>, 64<sup>1</sup> და 64<sup>2</sup> მუხლების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 16-ის დადგენილების 25 მუხლი, 41 მუხლის მე-2 ნაწილი, 48<sup>1</sup>, 48<sup>2</sup>, 50<sup>1</sup>, 50<sup>3</sup>, 54<sup>1</sup>, 64 და 64<sup>2</sup> მუხლები (კან. კრ. 1930 წ. მე-5 №-ი, მუხ. 55, მე-10 №-ი, მუხ. 135 და მე-12 №-ი, მუხ. 186 და ვაზ. „კომუნისტის“ 156 და 149 №-ი) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

25. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალური წესით დაიბეგრება შემდეგი ნიშნების მიხედვით:

ა) უკეთუ მეურნეობაში სისტემატიურად გამოიყენება დაქირავებული შრომა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსათვის, ან საშინამრეწველო რეწაობაში, ან საწარმოში, ისეთი შემთხვევის გამოკლებით, როდესაც დაქირავებული შრომის გამოყენება გამოწვეულია ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის განსაკუთრებული ხასიათით და იგი არ აღემატება მუშა-ძალის დაქირავების ზღვრულ რაოდენობას;

მუშა-ძალის დაქირავების ზღვრული რაოდენობა, რაც არ იწვევს მეურნეობის ინდივიდუალური წესით დაბეგრვას, დაწესებულ იქნეს:

სამარცვლელო, საბაღე, საბრინჯე და საბოსტნე.

მეურნეობისათვის . . . . .	100	დღე	წელიწადში.
სავენახე მეურნეობისათვის . . . . .	100	„	„
კულტურული ვენახებისათვის . . . . .	150	„	„
საჩაიე მეურნეობებისათვის . . . . .	125	„	„
საბამბეო მეურნეობებისათვის . . . . .	150	„	„
სათამბაქო მეურნეობებისათვის . . . . .	240	„	„

სამესაქონლო მეურნეობისათვის 1 მწყემსი (იმ პირობით უკეთუ მწყემსის შრომას აქვს დამხმარე ხასიათი და თანაც უკეთუ მეურნეობაში მყოფი შრომისუნარიანი წევრები მონაწილეობას იღებენ მეურნეობის ყოველდღიურ საქმიანობაში);

შინა-მრეწველ ხელოსნებისათვის 1 მოზრდილი მუშა ან 2 შეგირდი, უკეთუ მუშის ან შეგირდების დაქირავება გამოწვეულია წარმოების პირობებით;

ერთი მუდმივი დაქირავებული მუშის (მუშა-ქალის) ყოლა მეურნეობაში და სასეზონო დღეები ზემოაღნიშნულ ფარგლებში არ ჩაითვლება კულაკურ მეურნეობის ნიშნად, უკეთუ მეურნეობას არა ჰყავს შრომისუნარიანი მამაკაცი, ამ

უკეთეს შრომისუნარიანი მამაკაცი მიმივ ავადმყოფია, სამსახურში იმყოფება ან წასულია საშოვარზე;

ბ) უკეთეს მებურნეობას აქვს ისეთი წისკვილი, ზეთის სახდელი ან კარაქის საღებები, ბურღულის საფეკელი, ფეტვის საფეკელი, საჩეჩელი, მატყლის საპენტი, სასრესი, კართოფილისა, ხილისა და ბოსტნეულის სახმობ-საშრობი და საცეხველი საწარმო, ნორმული ქარხანა ან სამრეწველო საწარმო, რომლისათვისაც გამოიყენება მექანიკური ძრავი;

უკეთეს მებურნეობას აქვს ამგვარი საწარმო, რმელიც მოქმედობს ქარისა თუ წყლის ძალით და რომლის შემოსავალიც აღენატება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაუბეგრავ მინიმუმს; ამასთანავე მებურნეობაში ერთი ერთ-თვლიანი ქარისა თუ წყლის წისკვილის ქონა არ ჩაითვლება ისეთ ნიშნად, რომლის მიხედვითაც მებურნეობა ინდივიდუალური წესით იბეგრება;

გ) უკეთეს მებურნეობას აქვს სამრეწველო საწარმო და ამ საწარმოს მეშვეობით იგი ეწევა გარემო მოსახლეობის ექსპლოატაციას სამუშაოს სახლში გაცემით, ან ეს საწარმო იჯარით აქვს გაცემული;

დ) უკეთეს მებურნეობა სისტემატიურად აქირავებს რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას მექანიკური ძრავით ან მანქანით ასრულებს სამუშაოს სხვა მებურნეობისათვის და იღებს სასყიდელს;

ე) უკეთეს მებურნეობა იჯარით იღებს მიწას ისეთ პირობებზე, რასაც სარაიონო გადასახადო კომისია სცნობს კაბალურ პირობებად მიწის გაცემისათვის;

ვ) უკეთეს მებურნეობა სავაჭრო და სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით იჯარით იღებს ბაღს, ვენახს და სხვა, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც იჯარით აღებულ ნარგავთა ფართობი არ აღემატება ამგვარ ნარგავთა იმ საშუალო ფართობს, რაც უწყებულ ადგილას ერთ მებურნეობაზე მოდის, ან როდესაც ღარიბი თუ საშუალო მებურნეობა ბაღს, ვენახს და სხვ. საწილად იღებს;

ზ) უკეთეს მებურნეობა სისტემატიურად აქირავებს შენობას საცხოვრებლად ან საწარმოს მოსათავსებლად და, ამასთანავე, სადგომების (როგორც გაწყობილისა ისე გაუწყობელის) გაქირავებით მიღებული შემოსავალი შეადგენს მებურნეობის მთელი შემოსავლის ნახევარზე მეტს და მებურნეობის საერთო შემოსავალი აღემატება 500 მანეთს.

თ) უკეთეს მებურნეობის წევრი ეწევა ვაქრობას, მეფახშეობას ან მას აქვს სხვა არაშრომით შემოსავალი, მათ შორის კულტის მსახურის შემოსავალიც, და ამასთანავე, ამ წყაროების შემოსავალი აღემატება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაუბეგრავ მინიმუმს.

(ერთ. სას.-სამ. გადასახადის დებულების 29 მუხ. და ერთ. სას.-სამ. გადასახ. კანონის ძირითად დებულებათა შესახებ გამოცემული ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს დადგენილების მე-11 მუხ.)<sup>4</sup>.

25 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

მუხ. 41 ნაწ. 2. „სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან შეუმციროს შეწერილი გადასახადი 50%,-ით მცირეძალოვან კომუნას და სასოფლო-სამეურნეო არტელს და აგრეთვე მიწის საერთო დამუშავებელ ისეთ მცირეძალოვან ამხანაგობას, რომელშიაც, წესდების თანახმად, განსაზოგადოებულია მუშა-საქონელი და ინვენტარი ან რომელიც განასაზოგადოებს ამ საქონელსა და ინვენტარს მიწის განასაზოგადოებული დამუშავების დროს“.

48<sup>1</sup>. სამებაშეო კომუნას, არტელსა და მიწის საერთო ძალით დამუშავებელ იმ ამხანაგობას, რომელშიაც წესდების თანახმად განსაზოგადოებულია მუშა-საქონელი და ინვენტარი ან რომელიც განასაზოგადოებს ამ საქონელსა და

ინვენტარს მიწის განსაზოგადოებელი დამუშავების დროს, ბამბის ნათესის შემოსავლიანობის ნორმა შემცირდება ერთი-ორად უწყებელი რაიონისათვის დაწესებულ შემოსავლიანობის ნორმასთან შედარებით.

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მაისის 6-ის დადგენილების 1-ლი მუხ. „ა“ პუნ.).

48<sup>2</sup>. კომუნას, არტელს და მიწის საერთო ძალით დამუშავებელ იმ ამხანაგობას, რომელშიაც წესდების თანახმად განსაზოგადოებელია მუშა-საქონელი და ინვენტარი ან რომელიც განსაზოგადოებს ამ საქონელსა და ინვენტარს მიწის განსაზოგადოებელი დამუშავების დროს კენადისა და სელის ნათესის შემოსავლიანობის ნორმა შეუმცირდება 30%<sup>0</sup>-ით უწყებულ რაიონისათვის დაწესებულ შემოსავლიანობის ნორმასთან შედარებით.

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. აპრილის 23-ის დადგენილების მე-4 მუხ.).

50<sup>1</sup>. კომუნას, არტელს და მიწის საერთო ძალით დამუშავებელ იმ ამხანაგობას, რომელშიაც წესდების თანახმად განსაზოგადოებელია მუშა-საქონელი და ინვენტარი, ან რომელიც განსაზოგადოებს ამ საქონელსა და ინვენტარს მიწის განსაზოგადოებელი დამუშავების დროს, თამბაქოსა და წიკის პლანტაციის შემოსავლიანობის ნორმა შეუმცირდება 30%<sup>0</sup>-ით უწყებელი რაიონისათვის დაწესებულ შემოსავლიანობის ნორმასთან შედარებით; ხოლო აკრომინიმუმის, ე. ი. თამბაქოს პლანტაციების მოსავლიანობის გასადიდებლად უმარტივეს ლონისძიებათ განხორციელებისათვის, თამბაქოს პლანტაციის ხვედრ გადასახადს მოაკლდება 20%<sup>0</sup>-ი.

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. აპრილის 23-ის დადგენილების მე-4 მუხ. და 1930 წ. აპრილის 30-ის დადგენილების 1-ლი მუხ.).

„50<sup>2</sup>. ის მიწის ფართობი, რაზედაც 1930 წ. და 1931 წ. ჩაყრილ იქნება ყვითელი თამბაქოს და წიკის პლანტაციები და რაც ეკუთვნის კომუნას, არტელს და მიწის საერთო ძალით დამუშავებელ იმ ამხანაგობას, რომელშიაც წესდების თანახმად განსაზოგადოებელია მუშა-საქონელი და ინვენტარი, ან რომელიც განსაზოგადოებს ამ საქონელსა და ინვენტარს მიწის განსაზოგადოებელი დამუშავების დროს, განთავისუფლდება გადასახადისაგან: ორი წლით იმ დროიდან, როდესაც თამბაქოს პლანტაცია ჩაიყარა ამოძირკულ ან მელიორირებულ ნაკვეთზე და ერთი წლით დანარჩენ ნაკვეთებზე.

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. აპრილის 30-ის დადგენილების მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი“).

„50<sup>3</sup>. კომუნას, არტელს და მიწის საერთო ძალით დამუშავებელ იმ ამხანაგობას, რომელშიაც წესდების თანახმად განსაზოგადოებელია მუშა-საქონელი და ინვენტარი, ან რომელიც განსაზოგადოებს ამ საქონელსა და ინვენტარს მიწის განსაზოგადოებელი დამუშავების დროს, სიმინდისა და მზეუქვირითას ნათესის შემოსავლიანობის ნორმა შეუმცირდება ერთი-ორად უწყებელი რაიონისათვის დაწესებულ შემოსავლიანობის ნორმასთან შედარებით.

(სსრკ 1930 წ. აპრილის 23-ის დადგენილების მე-3 მუხ.).

„54<sup>1</sup>. 1930/31 და 1931/1932 წლებში დაბეგვისაგან განთავისუფლდება მთლად პროდუქტიული ოთხფეხი საქონელი კომუნისა, არტელისა და მიწის საერთო ძალით დამუშავებელი იმ ამხანაგობისა, რომელშიაც წესდების თანახმად განსაზოგადოებელია მუშა-საქონელი და ინვენტარი, ან რომელიც განსაზოგადოებს ამ საქონელსა და ინვენტარს მიწის განსაზოგადოებელი დამუშავების დროს, აგრეთვე განთავისუფლდება დაბეგვისაგან პროდუქტიული ოთხფეხი საქონელი, რაც ამ კოლექტიური მეურნეობების წევრთა ინდივიდუალურ მფლობელობაშია.

იმავე დროის განმავლობაში ნახევარი გადასახადისაგან განთავისუფლდება მთლად პროდუქტიული ოთხფეხი საქონელი მიწის საერთო ძალით დამშუშავებელი იმ ამხანაგობისა, სადაც მუშა-საქონელი და ინვენტარი განსაზოგადოებელი არ არის, აგრეთვე იმავე რაოდენობით განთავისუფლდება გადასახადისაგან პროდუქტიული ოთფეხი საქონელი, რაც ამ ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალურ მუდგომლობაშია.

(ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებ-ის 58<sup>2</sup> მუხლი და სსრკ-ის ცენტრ-ალმასრ, კ-ტის 1930 წ. აპრილის 12-ის დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლები).

„64<sup>1</sup>. ხილის ბალისა და ვენახისაჲვის, რაც ეკუთვნის კომუნას, არტელს და მიწის საერთო ძალით დამშუშავებელ იმ ამხანაგობას, რომელშიაც წესდების თანახმად განსაზოგადოებულია მუშა-საქონელი და ინვენტარი, ან რომელიც განსაზოგადოებს ამ საქონელსა და ინვენტარს მიწის განსაზოგადოებული დამშუშავების დროს, შემოსავლიანობის ნორმა შემცირდება 30 პროცენტით უწყებულო რაიონისათვის დაწესებულ შემოსავლიანობის ნორმასთან შედარებით; ხოლო აგრომინიმუმის, ე. ი. ხილის ბალისა და ვენახის მოსავლიანობის გასადიდებლად უმარტივეს ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხილის ბალის და ვენახის ხეებზე გადასახადს მოაკლდება 20 პროცენტი.

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. აპრილის 23-ის დადგენილების მე-4 მუხ. და 1930 წ. აპრილის 30-ის დადგენილების 1 მუხლი)“.

„64<sup>2</sup>. განთავისუფლდება გადასახადისაგან შემდეგი ფართობი, რაც ეკუთვნის კომუნას, არტელს და მიწის საერთო ძალით დამშუშავებელ იმ ამხანაგობას, რომელშიაც წესდების თანახმად განსაზოგადოებულია მუშა-საქონელი და ინვენტარი, ამ რომელიც განსაზოგადოებს ამ საქონელსა და ინვენტარს მიწის განსაზოგადოებული დამშუშავების დროს: ა) ახლად ჩაყრილი ვენახის ფართობი და აგრეთვე ახალ ნარგავთა ხეხილის ფართობი—ორი წლით ნაყოფის სხმოიარობის დაწყების შემდეგ; ბ) გაჯიელებული და ჩამატებით და დარემონტებული ვენახის ფართობი—ორი წლით ნაყოფის სხმოიარობის დაწყების შემდეგ; გ) ჩამატებით და გადამყობით დარემონტებული ბაღების ფართობი—ორი წლის განმავლობაში ნაყოფის სხმოიარობის დაწყების შემდეგ; დ) ახლად ჩაყრილი ხეხილისა და ვაზის სანერგის ფართობი—ოთხი წლით ჩაყრის დღიდან.

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. აპრილის 30-ის დადგენილების მე-2 მუხლის „ა“—„გ“ პუნქტები).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მაღლობიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-  
ჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. აგვისტოს 25.

ტიფლისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 203 №-ში 1930 წ. აგვისტოს 31.